საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ხუთშაბათი, 6 თებერვალი. 2020 წ. №22 (8948) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

იმისთანა წმინდა საქმეში, რაგორც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრუკის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ქვეყანაში სოციალური დაცვის სისტემა არ არსებობს!

3

„გერმანიის მნიშვნელობა იზრდება... უმთავრესია, სრულ მზადყოფნაში ვიყოთ“

გვესაუბრება გერმანიაში საქართველოს ელჩი ელგუჯა ხოკრიშვილთი

— როგორ შეაფასებდით სადღეისოდ საქართველო-გერმანიას შორის არსებულ ურთიერთობებს?

— გერმანია სადღეისოდ საქართველოსთვის მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პარტნიორია ყველა იმ ასპექტში, რომელიც მნიშვნელოვანია საქართველოს განვითარებისა და მომავლისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ-გერმანულ ურთიერთობებს ხანგრძლივი ისტორია აქვს და ამ ორი ერის ინტენსიური ურთიერთობა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში საქართველოში გერმანელი კოლონისტების დასახლებიდან დაიწყო, ქართულ და გერმანულ სახელმწიფოებს შორის ხანგრძლივი, მჭიდრო კავშირი ცივი ომის დასრულებისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ ჩამოყალიბდა.

ორმხრივი ურთიერთობების განსაკუთრებით პოზიტიური დინამიკა ბოლო წლებში შეინიშნება, რაც გასულ და მიმდინარე წელს როგორც საქართველოში, ასევე გერმანიაში განხორციელებული მაღალი დონის ვიზიტებით დასტურდება. 2018 წლის აგვისტოში საქართველოს გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი ეწვია; 2019 წლის ოქტომბერში საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა გერმანიის ფედერალური პრეზიდენტი ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი.

იხ. 4 გვ.

ბატონო კახა, ვანდალები უნდა გამოვავლინოთ და სასტიკად ვაზღვევინოთ!

5

საქართველო ერთადერთი და პირველია

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ეკატერინე ტიკარაძემ მინისტრის საათის ფორმატში გამოსვლისას „ცე“ ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის მიღწევებზე ისაუბრა.

„მინდა შევეხო მსოფლიოში უპრეცედენტო „ცე“ ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამას, რომლითაც სრულიად უფასოდ სარგებლობენ ჩვენი მოქალაქეები.

პროგრამის ფარგლებში დაავადებულ პირებს უახლესი თაობის, ძვირად ღირებული მედიკამენტი უფასოდ გადაეცემათ. პროგრამა ფარავს სკრინინგულ, სადიაგნოსტიკო და მკურნალობის მონიტორინგის კვლევებს. საქართველოს მიღწევების უდიდესი აღიარებაა ის ფაქტი, რომ 2019 წელს საქართველომ პირველმა და ჯერჯერობით ერთადერთმა მსოფლიოში მიიღო ვირუსული ჰეპატიტების ელიმინაციის სანიმუშო ქვეყნის (Centre of Excellence in Viral hepatitis Elimination) საპატიო წოდება“, — აღნიშნა ჯანდაცვის მინისტრმა. ჯანდაცვის სამინისტროს ცნობით, პროგრამის დაწყებიდან დღემდე მკურნალობა წარმატებით დაასრულა 59 ათასზე მეტმა ადამიანმა.

ანდრია ჯაღმაიძე:

მარტყოფის მონასტერს შეფარებულმა ფსიქიკურად დაავადებულმა ადამიანმა მოკლა მეორე და გაიქცა!

მარტყოფში მომხდარ მკვლელობას საპატრიარქოს პრესმდივანი სოციალურ ქსელში გამოეხმაურა.

„როგორც ეპარქიიდან შეგვატყობინეს, მარტყოფის ღვთაების მონასტერში მოხდა მკვლელობა. მონასტერს შეფარებული ჰყავს უსახლკაროები და სხვადასხვა სოციალური თუ სამედიცინო პრობლემების მქონე ადამიანები. როგორც აგვიხსნეს, ერთ-ერთმა ფსიქიკურად დაავადებულმა, მონასტერს შეფარებულმა ადამიანმა, მოკლა მეორე და გაიქცა მონასტრიდან,“ — წერს სოციალურ ქსელში საპატრიარქოს პრესმდივანი ანდრია ჯაღმაიძე.

როსტომ ჩხეიძე

იმავ ბედნიერ ვარსკვლავზე გაჩენილი

კარლო ოდიშვილის ლირიკული შედევრი

იმ ლიტერატურულ თავყრილობაზე ეს პაწია ლექსი — „წარწერა პოეტის სამარის ლოდზე“, მეორე ვერსიით ამ სათაურს რომ ამჯობინებდა ავტორი: „წარწერილი პოეტის საძვალეზედ“ — ოთხჯერ წარმოითქმოდა, ბოლოს — პოეტი ოთარ ფალიანი გაახმიანებდა, ამჯერად ჩინებული დეკლამაციითაც რომ მიიქცევდა ყურადღებას, და მსმენელს არ მოსწყინდებოდა ამ სტრიქონების დროდადრო გაელვება, რაკიღა ყველა ერთობლივ დაადასტურებდა მის შედევრობას.

მწერალი და ფოლკლორისტი ამირან არაბული იმასაც კი განაცხადებდა:

ჯერ მარტო მის მეორე სტროფზე შეიძლება დაიწეროს მთელი გამოკვლევა, წიგნიც კი. ის კოსმიური ხედვა, წუთისოფლისა და მარადიული სოფლის შეთანადება და მათ შორის სულის ამობობინება მოულოდნელი და შთამბეჭდავი მეტაფორით თავისთავად მოითხოვს ვრცელ და საფუძვლიან მსჯელობას, არაერთ შენიშვნას რომ მოიყოლებსო.

იხ. 7 გვ.

მსოფლიო შეძრულია!...

9

ჯიმ რიში: ჩვენ მოგვცეს გარანტიები, რომ ვითარება შეიცვლება!



— განაცხადა სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ სენატორმა ჯიმ რიშმა „ამერიკის ხმასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში. ჯიმ რიში სამშაბათს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს დავით ზალკალიანს შეხვდა.

ერთი კვირის წინათ რესპუბლიკელმა სენატორმა რიშმა და ევროპის ქვეკომიტეტის უმცირესობის დემოკრატმა ლიდერმა ჯინა შაჰინმა, საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას წერილით მიმართეს, სადაც ისინი იმ საკითხებზე საუბრობდნენ, რომლებიც, მათი თქმით, საქართველოს დემოკრატიულ განვითარებას აფერხებს.

„ქართველები ჩვენი მეგობრები არიან. ეს შესანიშნავი ქვეყანაა, რომელიც, გვინდა, რომ წარმატებული იყოს. მე საქართველოში 2012 წელს ვიყავი არჩევნებზე, როგორც ამერიკის მხარის ოფიციალური დამკვირვებელი. ჩვენთვის შთამბეჭდავი იყო, თუ როგორ წარიმართა არჩევნები. ჩვენ გვჯეროდა, რომ მაშინ ხელისუფლება დემოკრატიული მმართველობისთვის საჭირო რეფორმებს გაატარებდა, რომლებიც ხალხს მოეწონებოდა.

თუმცა, ვიხილეთ შემაშფოთებელი ნიშნები. ჩვენ კარგი შეხვედრა გვქონდა, რომელზეც ამ საკითხებზე ვისაუბრეთ და მოგვცეს გარანტიები, რომ ვითარება შეიცვლება. ჩვენ მდგომარეობას დავაკვირდებით. ეს ქართველების ქვეყანაა, და მე დარწმუნებული ვარ, ქართველებს სურთ თავისუფალი და ეკონომიკურად განვითარებული ქვეყანა. ამ საქმეში ჩვენ გვინდა მათ გვერდით ვიდგეთ“, — უთხრა სენატორმა რიშმა „ამერიკის ხმას“, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრის შემდეგ.

სენატორმა აღნიშნა, რომ განსახილველ საკითხთა შორის მომავალი არჩევნების დემოკრატიულ გარემოში ჩატარებაც იყო.

ქართულ მხარესთან შეხვედრის შემდეგ, წერილის თანაავტორმა ჯინა შაჰინმა „ამერიკის ხმასთან“ საუბარში განაცხადა, რომ მას იმედი აქვს, შეერთებულ შტატებს მიეცემა მხარდაჭერის გაგრძელების შესაძლებლობა.

„ჩვენ ძალიან მტკიცედ ვუჭერთ მხარს საქართველოს და პატივს ვცემთ ქართველი ხალხის ევროპულ კურსს ნატოსკენ და ევრო-ატლანტიკური პარტნიორობისკენ სწრაფვას. გვინდა, ამას მხარი დავუჭიროთ და იმედი გვაქვს, გვექნება ამ მხარდაჭერის გაგრძელების შესაძლებლობა“, — თქვა მან.

შეხვედრის შემდეგ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ მან სენატორებთან შეხვედრაზე განიხილა ის საკითხები, რაზეც სენატორების წერილში იყო საუბარი.

„დეტალურად ვისაუბრეთ ყველა იმ ძირითად საკითხზე, რომელიც არის ასახული მათ წერილში. ეს იყო მეგობრების, სტრატეგიული პარტნიორების შეხვედრა და სწორედ ამ კონტექსტში იყო ჩემი მხრიდან ძალიან დასაბუთებული არგუმენტირებული პოზიცია, ყველა იმ პროცესთან მიმართებაში, რა პროცესებზეც არის საუბარი წერილში“, — აღნიშნა ზალკალიანმა.

დამატებით ორმა სენატორმა სენატში შეხვედრის შემდეგ ერთობლივი განცხადება გამოაქვეყნა. სენატორი რიში პრესრელიზში ამბობს, რომ მათ საქართველოს დელეგაციასთან წერილში განხილული საკითხები, დემოკრატიის დასუსტების ნიშნების შესახებ, კიდევ ერთხელ გაახმოვანეს. გაკეთებულ განცხადებაში სენატორი ასევე აღნიშნავს, რომ ქართულმა მხარემ სერიოზული ნაბიჯები უნდა გადადგას დემოკრატიისკენ.

„სენატორ შაჰინს და მე, საგარეო საქმეთა მინისტრ ზალკალიანთან პროდუქტიული საუბარი გვქონდა,“ — ნათქვამია სენატორ რიშის განცხადებაში.

„რუსეთის ფედერაცია აგრძელებს საკუთარი ღობეების გადაწევას საქართველოში და ყოველ ჯერზე მიწის პატარა ნაკვეთის ანექსიას ახდენს. შეერთებული შტატები მხარს უჭერს საქართველოს დემოკრატიულ გარდაქმნას, მაგრამ უნდა გავაგრძელოთ პოზიტიური ნაბიჯების დანახვა. ჩვენ საქართველოს არ ვთხოვთ, იყოს უნაკლო, მაგრამ მთავრობამ უნდა დაგვანახოს, რომ დემოკრატიისკენ სვლას სერიოზულად უდგება,“ — ნათქვამია შეხვედრის შემაჯამებელ განცხადებაში.

პრესრელიზში შეხვედრას აფასებს სენატორი ჯინა შაჰინიც. მისი თქმით, ის საქართველოსგან მოელის, რომ დაპირებულ საარჩევნო რეფორმას განახორციელებს.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი შეხვედრებს ვაშინგტონში 6 თებერვალს დაასრულებს. ამერიკის დედაქალაქში მას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეც შემოუერთდება. ისინი შეხვედრებს კონგრესის გარდა, სახელმწიფო დეპარტამენტთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთანაც გამართავენ.

ანი ჩხიკვაძე
საბა გუჯაბიძე

კორონავირუსის გარდა კიდევ მეორე ვირუსია ჩვენთან, ეს ნაციონალური ვირუსია

„მადლობა თქვენ და ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლებს, ყველას, ვინც დგას ჩვენი საზღვრების სადარაჯოზე და არ უშვებს იმ უბედურებას, რასაც კორონავირუსი ჰქვია. თუ ჩვენ მოვახერხებთ, რომ მიუღწეველი იყოს ამ ჭირისთვის საზღვრის გადმოლახვა, ეს იქნება უმნიშვნელოვანესი გამარჯვება.

კიდევ მეორე ვირუსია ჩვენთან, რომელიც პარლამენტის კართან დგას. ეს ნაციონალური ვირუსია, მაგრამ მისი არეალი არ არის ისეთი დიდი. ვისაც უნდა გადასდებოდა, გადაიდო და მე მგონი, თქვენი და სხვა სფეროების წარმატებული საქმიანობაც შეუწყობს ხელს იმას, რომ ეს არეალი დაპატარავდეს“, — მიმართა საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ალექსანდრე ქანთარიამ ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს ეკატერინე ტიკარაძეს.

მან ყურადღება გაამახვილა, ასევე სოციალური დახმარების მექანიზმებზე, რომლს დახვეწის აუცილებლობის შესახებ განაცხადა მინისტრმა თავის გამოსვლაში დეპუტატების წინაშე.

„არის ხოლმე ხშირად შეფასებები, რომ სოციალური დახმარების მექანიზმი არის არაობიექტური და არასამართლიანი. მიუხედავად ამისა, ვერ მოხერხდა სამართლიანი გადანაწილება. ნაწილს, სოციალური შემწეობა აქვს მაშინ, როცა არ სჭირდება და ვისაც სჭირდება, მას არ აქვს“, — განაცხადა ალექსანდრე ქანთარიამ. იგი დაინტერესდა, თუ როგორ აპირებს ეკატერინე ტიკარაძე ამ მექანიზმის დახვეწასა და სრულყოფას.

ჟურნალისტი ნინო ჯღარკავა სააკაშვილს ამათრახებს!

ჟურნალისტი ნინო ჯღარკავა სოციალურ ქსელში წერს:

სააკაშვილის პიარ-აქცია ხომ გახსოვთ, ტელევიზიები რომ მიიყვანა,სულხან მოლაშვილის სახლიაო, უზარმაზარი სახლი რომ გვაჩვენა, არადა, წინა ღამით აყიდვინა მოლაშვილის ძმას, სულხანს გავათავისუფლებო, პირობა დაუდო, მერე გადააგდო, აქო მიუსაფარი ბავშვები და მოხუცები იცხოვრებენო, კორუმპირებული მოლაშვილი, ხედავთ რა სასახლე ჰქონიაო,ტაშიც დასცხო, შეიყვანა ბავშვები, ბუშტები ააფრიალა, იტინგიცა და ტელევიზიების წასვლის მერე იმ დღესვე გამოყარეს იქიდან ის საცოდავები და ბორდელად აქცია ის აგარაკი! ასეთ ქვეყანას აშენებდა მიშიკო! აბა, გამოდით და თქვით, რომ ვიტყუები, თქვე ფარისევლებო! ამოიღეთ ჟურნალისტებო არქივიდან ის მასალები, ამოიღეთ! ასე ადარდებდა მოხუცები და ბავშვები, დღეს რომ ცრემლებს აღვარღვარებენ, ბავშვებს შიათო!

ვის შეხვდება თალაკვაძე აშშ-ში?

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე, საპარლამენტო დელეგაციასთან ერთად, 5-10 თებერვალს, ამერიკის შეერთებულ შტატებში სამუშაო შეხვედრებს გამართავს. ვიზიტის ფარგლებში, პარლამენტის თავმჯდომარე, აშშ-ის **პრეზიდენტის მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ შეკრებაში — National Prayer Breakfast მიიღებს მონაწილეობას.**

თალაკვაძე მაღალი დონის შეხვედრებს გამართავს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესსა და სენატში. შეხვედრები ასევე გაიმართება სახელმწიფო მდივნის მოქმედ თანაშემწესთან ფილიპ რიკერთან, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ადმინისტრატორის თანაშემწესთან ბროკ ბიერმანთან, ორგანიზაცია Trammo Inc-ის აღმასრულებელ დირექტორთან ედუარდ ვეინერთან და ექსპერტებთან. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე თანმხლებ დელეგაციასთან ერთად ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლის სტუდენტებს შეხვდება და ასევე ვაშინგტონის ქართული მემკვიდრეობის აკადემიას ეწვევა.

პროტესტი — კანონის ფარგლებში!

„ყველა პოლიტიკურ პარტიას აქვს შესაძლებლობა, ამა თუ იმ საკითხზე თავისი პროტესტი გამოთქვას, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს უნდა იყოს კანონის ფარგლებში, კანონის ჩარჩოში. როგორც კი ვინმე, კონკრეტული პიროვნება ან კონკრეტული პოლიტიკური პარტია გასცდება კანონს, ამას მოჰყვება სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი რეაგირება“ , — აღნიშნა კალაძემ.

შეგახსენებთ, გუშინ ოპოზიციურმა პოლიტიკურმა პარტიებმა და მათმა მხარდამჭერებმა პროპორციული არჩევნების მოთხოვნით პარლამენტთან აქცია გამართეს. აქციის მონაწილეები საკანონმდებლო ორგანოსთან დილიდან შეიკრიბნენ „სირცხვილის დერეფნების“ მოსაწყობად. ოპოზიციის წარმომადგენლები ამბობენ, რომ აქციები, პიკეტირება გაგრძელდება, რათა დისკომფორტი შეუქმნან მმართველი გუნდის წარმომადგენლებს.

საქართველო და ისრაელი თავისუფალი ვაჭრობის მიზანშეწონილობას სწავლობენ

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა ისრაელის სახელმწიფოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში რან გიდორს შეხვდა, რომელიც ამ პოსტს 2020 წლის იანვრიდან იკავებს. შეხვედრას ასევე დაესწრო მინისტრის მოადგილე გენადი არველაძე.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ორი ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებსა და საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტულ მიმართულებებზე. აღინიშნა, რომ განსაკუთრებით უკანასკნელ პერიოდში აქტიურად ვითარდება ისრაელსა და საქართველოს შორის ორმხრივი თანამშრომლობა ყველა ძირითადი მიმართულებით, განსაკუთრებით ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, კულტურის, განათლების და ხალხთაშორისი კავშირების სფეროებში. ითქვა, რომ საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ისრაელთან პარტნიორული ურთიერთობების შემდგომი განვითარება, რაც განსაკუთრებით აქტუალურია ქართველი და ებრაელი ხალხების მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის კონტექსტში.

ყურადღება გამახვილდა თანამშრომლობაზე ინვესტიციების, ინოვაციების, ტრანსპორტისა და ტურიზმის სფეროებში. კერძოდ, აღინიშნა, რომ ისრაელი მეშვიდე ადგილზეა ტოპ 15 ვიზიტორ ქვეყანას შორის — 2019 წელს საქართველოში 205 ათასზე მეტი ვიზიტორი შემოვიდა, რომელიც წინა წელთან შედარებით 31 პროცენტით მეტი იყო. ითქვა, რომ ისრაელიდან ტურისტული ნაკადების ზრდას ხელი შეუწყო პირდაპირი ავიამიმოსვლის განვითარებამ. კერძოდ, როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, დღეს საქართველოსა და ისრაელს შორის ორივე ქვეყნის ავიაკომპანიები კვირაში 42 სიხშირით ფრენენ.

სიღარიბის მაჩვენებლების ზრდის საპასუხოდ, 2019 წელს მთავრობამ ბავშვის დანამატი ხუთჯერ გაზარდა!

„სიღარიბის მაჩვენებლების ზრდის საპასუხოდ, 2019 წელს მთავრობამ ხუთჯერ გაზარდა ბავშვის დანამატი,“ — ამის შესახებ გაეროს ბავშვთა ფონდი საქართველოს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი. ორგანიზაციის ცნობით, ბავშვთა უკიდურესი სიღარიბის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები 2009 წელს აღირიცხა და 11.5% შეადგინა.

„მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა ქვეყნის მასშტაბით წარმომადგენლობითი პანელური კვლევაა, რომელიც 2009 წლიდან ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ტარდება. კვლევა გამოიყენება უმთავრესი სოციალურ-ეკონომიკური ინდიკატორების გასაზომად, მონაცემების მოსაპოვებლად განათლებისა და ჯანდაცვის, ბავშვთა კეთილდღეობის, სოციალური დაცვისა და სხვა სფეროებში. კვლევის შედეგებზე დაფუძნებული რეკომენდაციები პოლიტიკის შემქმნელებს აწვდის სათანადო ინფორმაციას სისტემური ცვლილებების განხორციელებისთვის, რათა ქვეყანაში გაძლიერდეს სოციალური დაცვის, ჯანმრთელობისა და განათლების სისტემები.

მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის თანახმად, ბავშვთა უკიდურესი სიღარიბის მაჩვენებლები 2009-2017 წლებში ასეთია: 2009 — 11.5%; 2011 — 9.4%; 2013 — 6%; 2015 — 2.5%; 2017 — 6.8%.

2011 წლის მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის შედეგებმა გამოიწვია დისკუსია მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის შესახებ, რის შედეგადაც გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით 2013-2015 წლებში მოხდა აღნიშნული პროგრამის გადასინჯვა.

რეფორმის შედეგად შემოღებული იქნა ბავშვებისთვის სპეციალური ფულადი დანამატი, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა საქართველოს ისტორიაში.

სიღარიბის მაჩვენებლების ზრდის საპასუხოდ, 2019 წელს მთავრობამ ხუთჯერ გაზარდა ბავშვის დანამატი. ამჟამად, გაეროს ბავშვთა ფონდის ხელშეწყობით, მთავრობა ახორციელებს მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის და ბავშვთა ფულადი დანამატების ზეგავლენის სიღრმისეულ შეფასებას. შეფასების შედეგები ხელმისაწვდომი იქნება წლის ბოლოს“.

თუ სახლი თავზე არ ენგრევა, ბავშვს ოჯახიდან არ გამოიყვანენ

ბარაკებში **თვითნებურად შესახლებული ადამიანები მხოლოდ თბილისში მთელ რიგ დასახლებებს ქმნიან, თუმცა მათი კონკრეტული რაოდენობა მაინც უცნობია. უსახლკარო ადამიანი და ბავშვი მთავრობის პრიორიტეტების მიღმაა,** — აცხადებენ ექსპერტები.

ირინა გაბინაშვილი 6 შვილთან ერთად, რამდენიმე წელია, რუსთავში ყოფილ „დენის ჯიხურში“ ცხოვრობს, რომელიც საკუთარი ხელით გაასუფთავა და შელესა. სახურავი სხვებმა გაუკეთეს, თუმცა სახლს ფანჯრები დღემდე მორყეული აქვს და ქარი და წვიმა ოთახში თავისუფლად აღწევს. ოჯახი სოციალური დახმარებით ცხოვრობს.

„ბევრს სურდა ჩვენი დახმარება, მაგრამ რადგან ამ შენობაში უკანონოდ ვართ შემოსულები და ყოველ წუთას შეუძლიათ, გამოგვყარონ, აღარაფერს აკეთებენ. ჩემს ყოფილ ქმარს ჩვენთან მოკარება აკრძალული აქვს. ალიმენტსაც ვერ ვახდევინებ, უმუშევარია. მეც მხოლოდ წინდებს ვქსოვ ხანდახან და იმას ვყიდი“, — ამბობს ირინა გაბინაშვილი.

აკა სინჯიკაშვილი, რომელიც, რამდენიმე წელია, ქველმოქმედებას ეწევა, ამბობს, რომ პირადად მან 200 ოჯახი მაინც იცის, რომლებიც სხვადასხვა შენობაში არიან შეჭრილი: **„მტკვრის ნაპირას რომ გაიაროთ, ყველგან ნახავთ ასე, თავისით შესახლებულ ხალხს. ზოგმა სახლი დაკარგა, ზოგი პირდაპირ იქვე გაიზარდა და ახლა შვილებს ზრდის. ბევრი ბავშვი ჰყავთ. თავი როგორ უნდა დაიცვან, ისიც ვერ გაუგიათ“.**

World Vision-ის ბავშვთა დაცვის მომსახურებისა და ადვოკატირების მენეჯერ მაია მგელიაშვილის თქმით, ბევრი ოჯახი, მათ შორის ბავშვებიანი, სრულიად შეუფერებელ პირობებში ცხოვრობს, მაგრამ სოცმუშაკები ბავშვების მინდობით აღზრდაში გადაყვანის რეკომენდაციას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში გასცემენ.

„თუ სახლი თავზე არ ენგრევა, ბავშვს ოჯახიდან არ გამოიყვანენ. ძირითადად პრობლემა მაინც ის არის, რომ საქართველოში საკმარისი რაოდენობის სოციალური მუშაკები არ გვყავს“, — ამბობს ის. **უსახლკაროები თავშესაფრით ადგილობრივმა თვითმმართველობებმა უნდა უზრუნველყონ, მაგრამ სახელმწიფო მათთვის შენობების გადაცემას აჭიანურებს ან საერთოდ არ აძლევს,** — ამბობს ადამიანის უფლებათა ცენტრის ხელმძღვანელი ალეკო ცქიტიშვილი: **„მაგალითად, ხუდადოვზე წლების განმავლობაში ტუბდისპანსერში ცხოვრობდნენ დევნილები და მერე, როგორც იქნა, დაუკანონეს უსახლკაროდ რჩებიან ეკომიგრანტებიც. მიტოვებულ შენობებში ხვდება გაღატაკებული მოსახლეობაც, რომელმაც საცხოვრებელი მძიმე ავადმყოფობის, ბანკის ვალის ან სხვა რამის გამო დაკარგა“.**

თბილისის მერიაში აცხადებენ, რომ მოქმედებს პროგრამა, რომლის ფარგლებშიც უკვე 800 ოჯახს დაუკანონდა ფართი, სადაც წლების განმავლობაში (დაახლოებით, 20 წელი) ცხოვრობდა, თუმცა განცხადება გაცილებით მეტს, 2200 ოჯახს, ჰქონდა შეტანილი. დანარჩენებისთვის ფართი არ გაუფორმებიათ, რადგან მათი შენობები მერიას არ ეკუთვნის...

თეა თოფურია

ყოველი მეოთხე მოზარდი სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა

ორსული **დედა, ოთხ მცირეწლოვან შვილთან და ოჯახის ახლობელ ქალთან ერთად ხის ძველ სახლში დაიწვა. სახლი, სადაც გორგოძეების მრავალსულიანი ოჯახი ცხოვრობდა, განადგურებულია.**

დაახლოებით ორი თვის წინათ ტელეკომპანია „პირველის“ ეთერში, გარდაცვლილი, 28 წლის ნარგიზა გველესიანი ყვებოდა, რომ ოჯახს უკიდურეს გაჭირვებაში უწევდა ცხოვრება. ამბობდა იმასაც, რომ უმეტეს შემთხვევაში სოციალურად დაუცველთა სასადილოდან წამოღებული საკვები საკმარისი არ იყო და ბავშვები მშივრები იძინებდნენ. ყოფილი სტამბის შენობაში, ორ ოთახში ახალგაზრდა ქალი ქმართან, დედასთან, ძმასთან და ოთხ შვილთან ერთად ცხოვრობდა. ოჯახი მიტოვებულ ხის სახლში რამდენიმე დღის წინ შესახლდა. მათ ერთი კვირის წინ ოჯახის წევრი გარდაეცვალათ, რის გამოც ბაღდათში, წერეთლის ქუჩაზე მიტოვებულ სახლში შესახლდნენ...

* * *

სახელმწიფოს გულგრილობა თუ დაგვიანებული რეაგირება?! ცხოვრების არასათანადო პირობების მიუხედავად, რატომ შეუჩერდა მრავალშვილიან ოჯახს სოციალური დახმარება და როგორია ბავშვთა სიღარიბის მაჩვენებელი ქვეყანაში.

ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე გიორგი წოწკოლაური ამბობს, რომ ბაღდათში ტრაგიკულად გარდაცვლილ ოჯახს ყოველთვიურად 1330 ლარი ერიცხებოდა, თუმცა, ამბობს იმასაც, რომ ხარვეზის გამო 3 თვის მანძილზე შეჩერებული ჰქონდათ საარსებო შემწეობა — 680 ლარის ოდენობით, რაც დეკემბრის თვეში გამოსწორდა და ოჯახს განაცდური თანხა 2040 ლარი აუნაზღაურდა.

იყო თუ არა უკიდურესი სიღარიბე მომხდარი ტრაგედიის ერთ-ერთი მიზეზი და ეკისრება თუ პასუხისმგებლობა სახელმწიფოს ორსული ქალისა და ოთხი მცირეწლოვანის გარდაცვალებაზე? — ეს ის კითხვებია, რომელზეც პასუხს ალბათ არავინ გაგვცემს. თუმცა, გეტყვით, რომ 8 წლის გენადის, 6 წლის ტარიელის, 5 წლის თიკოს და ერთი წლის როსტომის მსგავსად უკიდურეს სიღარიბეში ქვეყანაში 150 000 ათასი ბავშვი ცხოვრობს.

ქვეყანაში სოციალური დაცვის სისტემა არ არსებობს

წლების განმავლობაში ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები ადასტურებენ, რომ ბავშვთა სიღარიბე უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა ქვეყნისთვის. გაეროს ბავშვთა ფონდის (Unicef) 2017 წლის მონაცემებით, უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს ბავშვების 6.8%, ანუ დაახლოებით 49.8 ათასი ბავშვი, ხოლო ზოგად სიღარიბეში ცხოვრობს ბავშვების 27.6%, დაახლოებით 202 ათასი ბავშვი.

Unicef-ის სოციალური პოლიტიკის პროგრამის ხელმძღვანელი თინა ბაუმი ამბობს, რომ ბავშვებში სიღარიბის მაჩვენებელი ძალიან მაღალია. როგორც ბაუმი აცხადებს, უკიდურეს სიღარიბეში ბავშვების დაახლოებით 7 პროცენტი ცხოვრობს, თუმცა, მისივე განმარტებით, თუ Unicef-ის კვლევის ზედა ზღვარს შევხედავთ, რიცხვი 27 პროცენტამდე იზრდება. ოფიციალურ სტატისტიკას აქვეყნებს საქსტატიც, მათი მონაცემებით აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი 25,5 პროცენტია.

„უხეშად, რომ ვთქვათ, საქართველოში ყოველი მეოთხე ბავშვი სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა. ბავშვს სიღარიბეში ყოფნა ბევრი გამოწვევის წინაშე აყენებს: მას გამოწვევები აქვს განათლებასთან, ჯანდაცვის სერვისების მიღებასთან დაკავშირებით, იმისგანაც არ არის თავისუფალი, რომ მშვიდი გარემო ჰქონდეს, ითამაშოს და მეგობრებთან გაერთოს. ძალიან ბევრი ისეთი ფაქტორი იყრის თავს, რომელიც ბავშვს შემდეგომ განვითარებაში ხელს უშლის. სამწუხაროდ, არასწრულწლოვანს მდგომარეობის შესაცვლელად არაფრის გაკეთება არ შეუძლია, მას არ აურჩევია, სად იზრდება. ანუ პასუხისმგებლობა იმაზე როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს ბავშვის მდგომარეობა არის ოჯახზე, საზოგადოებაზე და, რა თქმა უნდა, ხელისუფლებაზე“, — ამბობს Unicef-ის სოციალური პოლიტიკის პროგრამის ხელმძღვანელი.

თინა ბაუმი აცხადებს, რომ დღეს საქართველოში სოციალური დაცვის სისტემაში ძალიან ბევრი ხარვეზია. მისი აღიარებით, ქვეყანაში ცალკეული სოციალური პროგრამები მუშაობს, მაგრამ სოციალური დაცვის სისტემა არ არსებობს.

„საქართველოში ერთ-ერთი გამოწვევა სოციალური დაცვის სისტემის, როგორც ასეთი სრულფასოვანი სისტემის არ არსებობაა. ჩვენ გვაქვს სოციალური დაცვის პროგრამები როგორც ცენტრალურ ასევე ადგილობრივ დონეზე. ეს პროგრამები არის წერტილოვანი, ანუ დამდგარ ფაქტზე იძლევა რეაგირების საშუალებას, თუმცა, არ იძლევა პრევენციის და ოჯახის გაძლიერების საშუალებას, რაც არის აუცილებელი კომპონენტი კარგი სოციალური დაცვის სისტემის. რა თქმა უნდა, სიღარიბესთან ბრძოლა მარტო სოციალური დაცვით შეუძლებელია. აქ მნიშვნელოვანია სხვა ისეთი კომპონენტები, როგორიცაა კარგი განათლება, კარგი ჯანდაცვა და ა.შ.“. — აცხადებს თინა ბაუმი.

„კომერსანტის“ კითხვაზე, არის თუ არა ეფექტური ის სოციალური დაცვის სოციალური დაცვის პროგრამები, რომელსაც სახელმწიფო ახორციელებს Unicef-ის სოციალური პოლიტიკის პროგრამის ხელმძღვანელი გვპასუხობს:

„საქართველოში ერთ-ერთი სოციალური დაცვის პროგრამა არის მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამა, რომელიც ღარიბ ოჯახებს ფულის სახით ეხმარება, ჩვენ რომ ვილაპარაკოთ პროგრამის ეფექტიანობაზე, უნდა დავინახოთ სისტემის კონტექსტში, რა შედეგები გვინდა დგებოდეს. თუ ჩვენი მიზანია ის, რომ ოჯახი ამოვიდეს სიღარიბიდან, გაძლიერდეს და ა.შ. ამას სხვანაირი მიდგომები სჭირდება. საზოგადოება უნდა შეთანხმდეს რომ ბავშვთა სიღარიბე არის პრიორიტეტი და შესაბამისად, გადაწყვეტილებების მიმღებებმა ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგან. უნდა დაიგეგმოს ისეთი პოლიტიკა და შემუშავდეს ისეთი სტრატეგია, რომელიც ამ პრობლემას სხვადასხვა კუთხიდან დაინახავს. მაგალითად, რა გამოწვევებია განათლებაში, ჯანდაცვაში, სოციალურ პროგრამებში, დასაქმებაში, ეკონომიკურ ზრდაში და მთლიანობაში შეხედოს ამ ყველაფერს. როცა შეთანხმდები, სისტემით რა მიზანს გინდა მიაღწიო, მერე უფრო ადვილია, ილაპარაკო ეფექტურობაზე“, — აცხადებს თინა ბაუმი.

აღსანიშნავია, რომ სოციალური დახმარების მიმღებთა რაოდენობა თვიდან თვემდე იკლებს. სოციალური მომსახურების სააგენტოს სტატისტიკური მონაცემებით, 2019 წლის იანვარში საარსებო შემწეობის მიმღები ადამიანების რაოდენობა 442 112 იყო. ეს რიცხვი 2019 წლის დეკემბერში 14 739 ადამიანით შემცირდა და 422 970 შეადგინა. საარსებო შემწეობას საშუალოდ ქვეყნის მოსახლეობის 12 პროცენტი იღებს.

ბაჩო ადამია

„გერმანიის მნიშვნელობა იზრდება... უმთავრესია, სრულ მზადყოფნაში ვიყოთ“

(პირველი გვერდიდან)

აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტ შტაინმაიერის ვიზიტი გერმანიის ფედერალური პრეზიდენტის პირველი ვიზიტი იყო უკანასკნელი 23 წლის მანძილზე მას შემდეგ, რაც გერმანიის პრეზიდენტი რომან ჰერცოგი 1996 წელს იმყოფებოდა საქართველოში. გასული წლის ივლისში ბათუმის საერთაშორისო კონფერენციაში „საქართველოს ევროპული გზა“ მონაწილეობა მიიღეს მაღალი დონის გერმანელმა პოლიტიკოსებმა, მათ შორის – ბუნდესტაგის ვიცე-პრეზიდენტმა და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ. ბოლო ორი წლის მანძილზე მაღალი დონის ვიზიტები განხორციელდა საქართველოდან გერმანიაშიც. ფედერაციულ რესპუბლიკას სტუმრობდნენ ქვეყნის პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი.

გერმანიაში საქართველოსადმი ინტერესის ზრდას ადასტურებს გერმანელი ვიზიტორების რაოდენობა ჩვენს ქვეყანაში. 2019 წლის პირველ ათ თვეში საქართველოს გერმანიიდან 83.261 ვიზიტორი ეწვია. ევროკავშირის ქვეყნებიდან სტუმართა რიცხვი კი 2019 წელს 482.418 ერთეულს გაუტოლდა. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის განსაკუთრებულად გამოირჩევა გერმანიიდან საქართველოში შესული ვიზიტორების რაოდენობა, რომლის ზრდის მაჩვენებელმა 2019 წელს ყველაზე მაღალი, +38.2% შეადგინა. სწორედ ამ დადებითი ტრენდის გათვალისწინებით დავიწყეთ მუშაობა მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე დიდ საერთაშორისო ტურიზმის გამოფენასთან (ITB Berlin), რათა 2022 წელს საქართველო წარდგეს პარტნიორი ქვეყნის სტატუსით. იმის გათვალისწინებით, რომ შერჩევის პროცესის ბოლო ეტაპზე გავედით, ვიმედოვნებთ, რომ იანვრის ბოლომდე ეს საკითხი დადებითად გადაწყდება, რაც დამატებით ხელს შეუწყობს გერმანიიდან და ევროპიდან საქართველოში ვიზიტორების რიცხვის მატებასა და საქართველოს ცნობადობის გაზრდას.

2019 წლის ნოემბერში გერმანიისა და საქართველოს მთავრობებს შორის ხელი მოეწერა ფინანსური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას განვითარების სფეროში თანამშრომლობის ფარგლებში. 2020-2021 წლებში გერმანიის ფედერალური მთავრობა საქართველოსთვის პრიორიტეტული სფეროების დასაფინანსებლად 161,7 მილიონ ევროს გამოყოფს. 1992 წლიდან დღემდე განვითარების სფეროში თანამშრომლობის ფარგლებში გერმანიას საქართველოსთვის დაახლოებით 1,066 მილიარდი ევრო აქვს გამოყოფილი.

ჩვენი მთავარი მისიაა, რომ იმ ფონზე, როცა ევროკავშირი ისეთი მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას, როგორიცაა „ბრექსიტი“, პოპულიზმის ტალღა, ომი აღმოსავლეთ უკრაინაში და ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსია, დაძაბულობა ტრანსატლანტიკურ ურთიერთობებში და მნიშვნელოვანი ცვლილებები ახლო აღმოსავლეთში, არა მხოლოდ შევინარჩუნოთ, არამედ კიდევ უფრო გავზარდოთ საქართველოს აქტუალობა გერმანიის საგარეო პოლიტიკისთვის. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ გერმანია როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ კონტექსტში ევროკავშირის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოა, უაღრესად მნიშვნელოვანია მისი როლი ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში. აღსანიშნავია, რომ გერმანია განუხრელად აგრძელებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ნატოში და ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის მტკიცე მხარდაჭერას. გერმანია მიმდინარე წლის მეორე ნახევარში ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა გახდება და, შესაბამისად, კიდევ უფრო გაიზრდება მისი მნიშვნელობა ჩვენთვის. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია არსებული პარტნიორული, სტაბილური და ნდობაზე დამყარებული ორმხრივი ურთიერთობების გაგრძელება, რაც ჩემი ყოველდღიური საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს.

– ვიცით, რომ ბერლინი თბილისისთვის ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის შემოღებას არ მიესალმებოდა, ამასთან, რიგი ამერიკელი დიპლომატების განცხადებით, 2008 წელს საქართველოსთვის მაპ-ის მინიჭების საკითხი ანგელა მერკელმა დაბლოკა. და მართალია, საქართველოში გერმანიის ელჩმა ამასწინათ ეს უარყო, თუმცა დაადასტურა მერკელმა თბილისში ვიზიტისას. ამჟამად რა დამოკიდებულება აქვს გერმანიას ამ საკითხებისადმი და რა კეთდება ჩვენი მხრიდან ამ დამოკიდებულების შესაცვლელად?

– როგორც ვთქვი, გერმანია აქტიურად უჭერს მხარს საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ კურსს. საქართველოში სტუმრობისას ფედერალურმა კანცლერმა ანგელა მერკელმაც აღნიშნა, რომ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში საქართველო ერთ-ერთი მჭიდრო პარტნიორია. გერმანია მიმდინარე წლის მეორე ნახევარში ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა გახდება, რაც, ბუნებრივია, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკაზეც აისახება, მათ შორის – ევროკავშირის და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის ურთიერთობის კონტექსტშიც. შესაბამისად, ქართული პერსპექტივიდან გერმანიის მნიშვნელობა იზრდება.

რაც შეეხება ნატო-საქართველოს ურთიერთობებს, კანცლერი მერკელი, ისევე როგორც, ზოგადად, გერმანია განაგრძობს ბუქარესტის სამიტის გზავნილის მხარდაჭერას, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი ქვეყანა. კანცლერის პოზიციის მიხედვით, ამ ეტაპზე სწრაფი გაწევრიანების მოლოდინი არ უნდა გვქონდეს, რაც ცხადია, არ ნიშნავს, რომ ის ზოგადად გაწევრიანების შეუძლებლობას გულისხმობს. გერმანია მიიჩნევს, რომ იმ მომენტამდე, სანამ არ შეიქმნება ე. წ. შესაძლებლობების ფანჯარა გაწევრიანებასთან დაკავშირებით, ნატოსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის და ინტეგრაციის ფარგლებში ყველა შესაძლო ინსტრუმენტის ამოწურვა უნდა მოხდეს. თუ გადავხედავთ ნატოსა და საქართველოს თანამშრომლობას, მარტივად დავადგენთ, რომ გერმანია საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მჭიდრო პარტნიორია, რაც აისახება როგორც თავდაცვის სფეროში ორმხრივ თანამშრომლობაზე, ასევე საერთაშორისო დონეზე, მაგალითად, ავღანეთში კოოპერაციაზე.

ამასთან, გერმანიის ხელშეწყობით, საქართველოს და ნატოს შორის გაფორმდა ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი (SNGP), რაც გაძლიერებული შესაძლებლობების მქონე ნატოს პარტნიორი ქვეყნის სტატუსს ნიშნავს და ალიანსის წევრი ქვეყნებისთვის გათვალისწინებულ ყველა პრივილეგიას გულისხმობს, კოლექტიური უსაფრთხოების ქოლგის გარდა...

– მიმდინარე წელს იყო საუბრები იმის თაობაზე, რომ შესაძლოა, გერმანიას საქართველოსთან უვიზო რეჟიმის შეჩერებაც კი მოეთხოვა. ამჟამად რა ვითარებაა ამ მიმართულებით და რა ვითარებაა კრიმინალის თვალსაზრისით?

– ამჟამად გერმანიის მიერ უვიზო რეჟიმის შეჩერების მოთხოვნასთან დაკავშირებით, არც თავშესაფრის მაძიებლების რაოდენობის და არც ორგანიზებულ დანაშაულში ჩართული საქართველოს მოქალაქეების კუთხით, საფრთხე არ არსებობს. საქართველოსა და გერმანიის შესაბამისი უწყებები მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ჯერ კიდევ უვიზო მიმოსვლის ამოქმედებამდე მნიშვნელოვნად გაძლიერდა თანამშრომლობა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მხრივ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2015 წლიდან ბერლინში საქართველოს საელჩოში მოვლენილი პოლიციის ატაშე გერმანიაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს თანამშრომლობის კიდევ უფრო გაძლიერებაში. შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მჭიდროდ თანამშრომლობს გერმანიის არა მხოლოდ ფედერალურ, არამედ ცალკეული ფედერალური მიწების სამართალდამცავ სტრუქტურებთან. თანამშრომლობა ხორციელდება ორგანიზებული დანაშაულის, კიბერდანაშაულის, ნარკოტიკების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვის, არალეგალური მიგრაციისა და სხვა მძიმე დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის, ასევე პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და საპოლიციო განათლების კუთხით. საქართველოსა და გერმანიის სამართალდამცავი სტრუქტურები ორმხრივ ფორმატში აქტიურად თანამშრომლობენ „ორგანიზებული დანაშაულის, ტერორიზმისა და სხვა მძიმე დანაშაულების შესახებ“ 2014 წლის სამთავრობო შეთანხმების, გერმანიის ცალკეულ ფედერალურ მიწებთან ხელმოწერილი ურთიერთგაგების მემორანდუმისა და ევროკავშირსა და საქართველოს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შეთანხმების საიმპლემენტაციო ოქმის ფარგლებში.

– მერკელმა საქართველოში ამასწინანდელი ვიზიტისას განაცხადა, რომ რიგი პროფესიებისთვის, რომელიც გერმანიაში დეფიციტურია, მუშაობა დაიწყება საქართველოსთვის სამუშაო კვოტების გამოყოფის მიმართულებით. რა კონკრეტული ნაბიჯებია გადადგმული ამ თვალსაზრისით?

– გერმანიაში საქართველოს მოქალაქეებისთვის ლეგალურად დასაქმების შესაძლებლობა 2020 წლიდან ერთმნიშვნელოვნად იზრდება. კერძოდ, 2020 წლის პირველი მარტიდან გერმანიაში ძალაში შევა კანონი მიგრაციის შესახებ, რომლის მიზანს გერმანიის სამუშაო ბაზრის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირებით უზრუნველყოფა წარმოადგენს. კანონი ითვალისწინებს ე. წ. მესამე ქვეყნების მოქალაქეებისთვის გერმანიის სამუშაო ბაზარზე წვდომის გამარტივებას. ევროკავშირის არაწევრი, ე. წ. მესამე ქვეყნებიდან გერმანიაში დასაქმების წინაპირობა გერმანიაში პროფესიული კვალიფიკაციის აღიარება იქნება. კვალიფიკაციის აღიარების შემთხვევაში ე. წ. მესამე ქვეყნების მოქალაქეებს შესაძლებლობა მიეცემათ, იმუშავონ ნებისმიერი პროფესიით. აქამდე არსებული შეზღუდვა გარკვეულ პროფესიებზე ახალი კანონმდებლობით გაუქმებულია.

კვალიფიციურ მუშახელს ე. წ. მესამე ქვეყნებიდან გერმანიაში მაქსიმუმ 6 თვით ჩასვლისა და ადგილზე სამსახურის მოძიების უფლება ეძლევა. საჭიროა შესაბამისი კვალიფიკაცია, ენის ცოდნა და საკმარისი ფინანსური სახსრები გერმანიაში საცხოვრებლად. მხოლოდ ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) სფეროს სპეციალისტები შეძლებენ, დასაქმდნენ გერმანიაში კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე. მათ მოეთხოვებათ მინიმუმ სამწლიანი სამუშაო გამოცდილება და დასაქმების მომენტისთვის არსებული გარკვეული შემოსავლის ჩვენება. დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ექნებათ, გერმანიაში აიმაღლონ კვალიფიკაცია. ამ შემთხვევაში კანონმდებლობა იძლევა შესაბამის პროფესიაში პარალელურად დასაქმების საშუალებასაც.

ამასთან, მარტივდება პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა გერმანიაში. მსურველის ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 25 წელს, მას უნდა ჰქონდეს საშუალო სკოლის ატესტატი და ფლობდეს გერმანულ ენას.

პროფესიული განათლების მიღების ან კვალიფიციური მუშახელის მიერ გერმანიაში სამუშაოს დაწყების სურვილის შემთხვევაში, მსურველებმა უნდა მიმართონ გერმანიის საკონსულოს საქართველოში, შეიტანონ განაცხადი შესაბამისი კატეგორიის ვიზაზე და წარადგინონ საჭირო დოკუმენტაცია. გერმანიის მთავრობამ შექმნა პორტალი „Make it in Germany“, რომელზეც განთავსებულია საჭირო ინფორმაცია და ვაკანსიები იმ სფეროებში, რომლებშიც კვალიფიცირებული მუშახელის დეფიციტია.

რაც შეეხება კვოტებს, რომლებზეც ფედერალურმა კანცლერმაც ისაუბრა, ის მხოლოდ სეზონურ დასაქმებას ეხება. სეზონური დასაქმება დღესდღეობით უკვე შესაძლებელია სტუდენტებისთვის, თუმცა სეზონური დასაქმების შესახებ შეთანხმების მეშვეობით, რომელიც იანვრის ბოლომდე გაფორმდება საქართველოს დასაქმების ხელშემწყობ სააგენტოსა და გერმანიის დასაქმების ფედერალურ სააგენტოს შორის, საქართველოს მოქალაქეებს შესაძლებლობა მიეცემათ, სეზონურად დასაქმდნენ გერმანიაში.

შეთანხმება, უპირველეს ყოვლისა, ორიენტირებულია სოფლის მეურნეობაში დასაქმებაზე, განსაკუთრებით, იმ პერიოდებზე, როდესაც გერმანიაში სოფლის მეურნეობის გარკვეული კულტურების მოსავლის აღების დრო მოდის და გერმანული კომპანიები მოსავლის აღებისთვის საჭირო დროის მონაკვეთში (სამი თვე) მუშახელს ეძებენ. მაგალითისთვის, 2020 წელს გერმანიაში სოფლის მეურნეობის სექტორში კომპანიები სეზონური სამუშაოებისთვის დაახლოებით 336.000 დამატებით პირს ეძებენ. ეს რაოდენობა, კვოტების მიხედვით, გადანაწილდება დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებსა და მოლდოვაზე, უკრაინასა და საქართველოზე აღნიშნული შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ.

– მმართველი პარტიის „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეს ბიძინა ივანიშვილს ქვეყანაში უმუშევრობის პრობლემის გადაჭრის გზად უცხოეთში ქართველების სეზონურ სამუშაოზე ლეგალურად დასაქმება მიაჩნია. მიმდინარეობს თუ არა ამ მიმართულებით მუშაობა გერმანულ მხარესთან და რა შეგიძლიათ, გვითხრათ ამ მიმართულებით? რა ტიპის სამუშაო შეიძლება, იყოს ეს? როგორი ანაზღაურებით და რა პირობებით?

– როგორც ზემოთ მოგახსენეთ, სეზონური დასაქმება ეხება სოფლის მეურნეობის სექტორში მოსავლის აღებას, მაგალითად, სატაცურის, ვაშლის, მოცვის და ა. შ. გერმანიის კანონმდებლობით განსაზღვრული მინიმალური ანაზღაურება შეადგენს საათში 9,35 ევროს და სამუშაო პირობების მინიმალური მოთხოვნებიც კანონით არის განსაზღვრული. მაგალითად, კვირაში მინიმუმ ერთი დღე უნდა იყოს დასვენების

ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲙᲐᲮᲐ, ᲕᲐᲜᲓᲐᲚᲔᲑᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲕᲐᲕᲚᲘᲜᲝᲗ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲢᲘᲙᲐᲓ ᲕᲐᲖᲦᲕᲔᲕᲘᲜᲝᲗ!

ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ მერიაში გუშინ მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, თბილისის მერმა კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა.

პირველ რიგში, კახა კალაძემ ყურადღება ელიავას ბაზრობისა და მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგების საკითხზე გაამახვილა და აღნიშნა, რომ ბაზრობაზე არსებული მდგომარეობის გამოსწორება თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ფარგლებში მოხდება. დედაქალაქის მერიას ელიავას ბაზრობის მეპატრონეებთან კომუნიკაცია ჰქონდა, რომლის შედეგადაც მიიღეს გადაწყვეტილება, რომ დღეისთვის არსებული ფორმით ბაზრობის ფუნქციონირება მიუღებელია.

გენგეგმის მიხედვით, ელიავას ბაზრობას სავაჭრო ზონის სტატუსი შენარჩუნებული აქვს, შესაბამისად, ტერიტორიის გაჯანსაღება მოხდება. ასევე, ბაზრობაზე დასაქმებულ ათასობით ადამიანს ხელი არ შეეშლება და არც საქმიანობა შეეზღუდება.

მთავრობის სხდომაზე აღინიშნა, რომ მიმდინარე წელს ორი უმნიშვნელოვანესი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის – მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლისა და კადეტთა კორპუსის რეაბილიტაცია დაიწყება. ავარიული შენობების რეაბილიტაციას ორი წელი დასჭირდება და სამუშაოებისთვის, დაახლოებით, 25 მილიონი ლარი დაიხარჯება. წინასაარჩევნოდ გაცემული დაპირება სრულდება და კადეტთა კორპუსს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება.

დედაქალაქის მერმა ყურადღება ვანდალიზმის ფაქტებზეც გაამახვილა და აღნიშნა, რომ პრობლემის წინააღმდეგ ერთიანი ბრძოლაა საჭირო.

„სამწუხაროდ, დედაქალაქში ვანდალიზმის ფაქტები ძალიან ბევრი გვაქვს. ძალიან გულდასაწყვეტია, რადგან სამუშაოებში, რომელსაც ვახორციელებთ, დიდი ძალისხმევა იდება, რათა ყველაფერი ლამაზი, მაღალი ხარისხის და მოწესრიგებული იყოს. ვანდალიზმს ყველა ერთად უნდა ვებრძოლოთ, რადგან ეს ქალაქი ყველასია. დარწმუნებული ვარ, ამ მიმართულებით გვექნება ერთსულოვნება, მიუხედავად პოლიტიკური შეხედულებებისა. იმ პროექტებით, რომელიც ქალაქში ხორციელდება, ყველამ უნდა ისარგებლოს. არ აქვს მნიშვნელობა, ვინ არის „ნაციონალური მოძრაობის“, „ქართული ოცნების“ თუ სხვა პარტიის მხარდამჭერი“, – განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერმა საზოგადოებას ფოტომასალა წარუდგინა, სადაც ასახულია, თუ როგორ დააზიანეს ჭავჭავაძის გამზირზე ახალდამონტაჟებული ბოძკინტები.

„ჩვენ ჭავჭავაძის გამზირზე, რომლის რეაბილიტაცია ამჟამად მიმდინარეობს და ძალიან კარგი პროექტი გამოდის, სამუშაოების პარალელურად, ტროტუარის მოწესრიგება დავიწყეთ, რომელიც ფილებით მოპირკეთდება. ვიცით, რამხელა პრობლემას წარმოადგენდა ტროტუარის საპარკინგე ზონად გამოყენება. ამ დროს ქვეითად მოსიარულეებს გადაადგილება ეზღუდებოდათ. შესაბამისად, სპეციალური დგარებით, იგივე ბოძკინტებით ტროტუარის ჩაკეტვა გადავწყვიტეთ, თუმცა ერთ ღამეში, დაახლოებით, 32 დგარი მოჭრეს და გაანადგურეს. ზოგიერთ შემთხვევაში, მანქანით აზიანებდნენ, ზოგ შემთხვევაში კი, მოჭრეს“, – განაცხადა კახა კალაძემ.

მთავრობის სხდომაზე ასევე აღინიშნა, რომ სამგორის რაიონში მდებარე წმინდა ბარბარეს უბანში 10 440 კვ.მ ფართობზე ასფალტის საფარი დაიგება. პროექტის ღირებულება დაახლოებით, 600 ათას ლარს შეადგენს.

დედაქალაქის მერმა მთავრობის სხდომაზე ბოლო დღეებში სოციალურ ქსელში გავრცელებული ის ფოტოც წარმოადგინა, სადაც კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ (GWP) მიერ ფრაგმენტულად შესრულებული საგზაო სამუშაო იყო ასახული.

„ვფიქრობ, ყველას გეცნობათ ეს ფოტო, რომელიც ძალიან პოპულარობით სარგებლობდა ჩვენს ოპონენტებში. აქ სამუშაოები კომპანია GWP-მ აწარმოა. ტერიტორიაზე ფრაგმენტული დაზიანება იყო. სამუშაოების განხორციელების შემდეგ, მოქალაქეების ჯგუფმა გზის დახაზვის სამუშაოები ჩაატარა, რომ გამოეყვანათ, თუ როგორი უნიათოა დედაქალაქის მთავრობა, სამგორის რაიონის გამგეობა და როგორ დახაზვებს აკეთებს. ხედავთ, რა დონეზე არიან დასული და სად არიან. მათ ჰქონდათ ინფორმაცია, რომ ჩვენ პროექტი მზად გვქონდა და ველოდებოდით მხოლოდ კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმებას, რათა სამუშაოები დაგვეწყო. ასეთ ხუმრობას ზოგიერთმა ტელეკომპანიამ სიუჟეტებიც კი მიუძღვნა. სად არიან, ხომ ხვდებით. თითქოს, ამაზე მეტი პრობლემა არ გვქონდეს თბილისში“, – განაცხადა კახა კალაძემ.

პლატფორმას – „შენი იდეა ქალაქის მერს“ კიდევ ერთი გამარჯვებული ჰყავს, რომელიც მულტიფუნქციური საწვრთნელ-გასართობი და სპორტული კომპლექსის მოწყობას ითვალისწინებს. ინვესტიციის განხორციელების მიზნით, სამგორის რაიონში მდებარე 91,642 კვ.მ მიწის ნაკვეთი საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციას გადაეცემა.

კახა კალაძის განცხადებით, პროექტის განხორციელებით, თბილისის გზებსა და ქუჩებში საკმაოდ გავრცელებული უკანონო რბოლების პრაქტიკა აღიკვეთება. მისივე თქმით, პროექტის თანახმად, ფედერაცია ვალდებულებას იღებს, 1 419 500 ლარის ინვესტიცია განახორციელოს.

დედაქალაქის მერმა „ევროპის საუკეთესო მიმართულებები 2020“-ის საერთაშორისო კონკურსზეც ისაუბრა, რომელშიც თბილისი მონაწილეობს. ხმის მიცემის პროცედურა გუშინ დასრულდა.

გუშინდელ სხდომაზე თბილისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელად დედაქალაქის მერმა გიორგი აბუთიძის კანდიდატურა წარადგინა, რომელიც დღემდე თბილისის სატრანსპორტო კომპანიის გენერალური დირექტორის მოადგილის თანამდებობას იკავებდა.

ᲛᲔᲬᲧᲔᲠᲘ ᲨᲣᲐᲮᲔᲕᲨᲘ

ᲨᲣᲐᲮᲔᲕᲘᲡ მუნიციპალიტეტის სოფელ ბუთურაულში მეწყერი ჩამოწვა. მიწის მასა მახაჭაძეებისა და დიასამიძეების საცხოვრებელ სახლებთან ჩამოიშალა.

გეოლოგების დასკვნის შემდეგ გახდება ცნობილი, იქნება თუ არა საჭირო, ოჯახების გამოსახლება. ამ დროისთვის ოჯახები კუთვნილ სახლებში რჩებიან.

შემთხვევის ადგილი შუახევის მერმა ფრიდონ ფუტკარაძემ დაათვალიერა.

ᲠᲐᲭᲐᲨᲘ ᲒᲖᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲬᲛᲔᲜᲓᲘᲗᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ

ᲝᲜᲘᲡ მუნიციპალიტეტში სოფლებამდე მისასვლელი და შიდა გზების გაწმენდითი სამუშაოები უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება გზებზე, რომელზეც სასკოლო ავტოტრანსპორტი გადაადგილდება. გზების წმენდის სამუშაოებზე მონიტორინგს ონის მუნიციპალიტეტის მერი ემზარ საბანაძე პირადად ახორციელებს. გუშინ გზები სოფელ კომანდელში, სომიწოსა და ქალაქ ონში გაიწმინდა. ზამთრის სეზონზე გზების გაწმენდის სამუშაოები მუნიციპალიტეტში სისტემატურად ხორციელდება.

ᲘᲖᲝᲠᲘᲐᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲐᲡ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ ᲑᲚᲝᲙᲐᲕᲡ?!

ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ საქმეთა სამინისტრო კვლავ „საიდუმლოდ“ ინახავს ინფორმაციას, დაინიშნება თუ არა ბოლო დროს სკანდალში გახვეული დაზვერვის სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი ლევან იზორია გერმანიის ელჩის პოზიციაზე. როგორც „2020NEWS“-ს სამინისტროში განუცხადეს, ამ საკითხთან დაკავშირებით უწყებას, ჯერჯერობით, კომენტარის გაკეთება არ შეუძლია.

სად მიდის ლევან იზორია, არ იციან მმართველ პარტიაშიც. როგორც „ქართული ოცნების“ დეპუტატმა კარლო კოპალიანმა „2020NEWS“-ს განუცხადა, დაინიშნება თუ არა ლევან იზორია გერმანიის ელჩის პოზიციაზე, მისთვის უცნობია.

პოლიტიკის ექსპერტი გია ხუხაშვილი „2020NEWS“-თან აცხადებს, რომ იზორიას ელჩის თანამდებობაზე დანიშვნას ხელს გერმანია უშლის. მისივე თქმით, ბოლო დროს ექსმინისტრი ანტიგმირად იქცა, რაც გერმანიისთვისაც კარგად ცნობილი ფაქტია.

...მას შემდეგ, რაც დაზღვერვის სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი ლევან იზორია მის ძმასთან დაკავშირებულ სკანდალში გაეხვია, აღნიშნული თანამდებობა დატოვა და განაცხადა, რომ გერმანიაში ელჩის პოზიციაზე ინიშნება.

ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲔ ᲖᲐᲠᲜᲐᲫᲔ

„ყველა გზას ადამიანებამდე მივყავართ“,

– ასე ამბობდა ანტუან დე სენტ-ექზიუპერი



ფრანგული ტექსტი ქართულად გადმოაქცია **გურამ გოგიაშვილმა**

პიროვნება

ცხოვრებაში არის ერთი ისეთი რამ, რაც მუდამ იმარჯვებს! ცოცხალმა უნდა იცოცხლოს და იმისთვის, რომ იცოცხლოს, თავის გზაზე ყოველსავე დაბრკოლებას ლახავს. სიცოცხლის გაგრძელების გულისთვის ის თავის კანონებს ქმნის, მართლაც უძლეველია.

* * *

ის ნელა მიიწევდა უცხო პირთა შესახვედრად და ფიქრობდა: „თითქოს ცოცხლებში არცა ვწერივარ“. მალე უნდა აეკრა გუდა-ნაბადი, წასულიყო და ეს კარგი იყო. იცოდა – სამუშაო ისე მჭიდროდ დააკავშირებდა გარემომცველ სამყაროსთან, რომ ისევ თავის ნამდვილ სახეს დაიბრუნებდა. კარგად იცოდა, რომ ყოველდღიურობაში გადადგმული თუნდაც ერთი მცირედი ნაბიჯი მომხდარი ამბის მნიშვნელობას იძენდა, სულიერი დრამა კი კარგავდა თავის ტრაგიკულობას.

* * *

დიახ, შეუმჩნევლად და თანდათან მივიდა სიბერესთან და ამ აზრსთან: „ერთხელაც დადგება დრო“, აზრთან, რომელიც აგრერიგად ალამაზებს კაცობრივ ცხოვრებას. თითქოს ერთ მშვენიერ მართლაც დადგებოდა დრო და სადღაც, სიცოცხლის ბოლოს შესაძლებელი იქნება ნეტარი სიმშვიდის მიღწევა, რომელიც რომ ზმანებებში გვესურათხატება!.. სიმშვიდე კი მაინც არ არის.

* * *

ბედისწერა არ არის, როგორც რომ უცხო რამ ძალა, მაგრამ არის რაღაც შინაგანი ბედისწერა: გამოტყვრება წუთი რამ, როს თავს უცებ შელახულად იგრძნობ და შეცდომები თავიანთ მორევში გითრევენ...

* * *

„მოგონებანი გვტანჯავენ!“ – ეგ ტყუის: ტანჯვა თითქმის მეგობარია.

* * *

ეგ ადამიანები ბედნიერები არიან: მაგათ თავიანთი საქმე უყვართ და იმიტომ უყვართ, რომ მე მკაცრი ვარ.

* * *

ეგ ეგების მართლა სტკენდა გულს ადამიანებს, მაგრამ ეგვე დიდ სიხარულს ანიჭებდა. „უნდა ვაიძულოთ მაგათ მუდმივად დაძაბული ცხოვრება, – ფიქრობდა რივიერი, – ცხოვრება, რომელსაც ტანჯვაც მოაქვს და სიხარულიც, სწორედაც ეს არის ნამდვილი ცხოვრება“.

* * *

რივიერს ეჩვენებოდა, რომ გაწვდილ ხელში დიდი რამ სიმძიმე ეჭირა, ეჭირა კარგა ხანს, საშველი არა ჩანდა. „ვბერდები...“ ჩანს, მართლაც ბერდება, რახან მოქმედების გარდა, სული სხვა საზრდოს თხოულობდა.

* * *

ადამიანი იმ როლს თამაშობს, თავადვე რომ შეთხზა. და შეთხზა სულაც არა ცუდმედობისა გამო, თავისი თავი უნდოდა, რომ ერწმუნა.

* * *

გვერდით რაღაც განუზომლად დიდსა გრძნობდა: ოთახს სენშეყრილთა სული ავსებდა, და ოთახი დიდი რამ ჭრილობა ხდებოდა. სკამის გაწევაც საშიში იყო და ნაბიჯის გადადგმაც.

* * *

ჩვენ მოგვწონდა იმ ყოვლის უფრო საიმედო ჭალაკზე თავის წარმოდგენა ორ საშინელ ოკეანეს შორის – წარსულსა და მომავალს შორის.

* * *

ბერნისი ცხოვრებას კულისებიდან ხედავდა, სადაც ყველაფერი ხელობა იყო. სადაც არ იყო არც უკეთურება, არც სათნოება, არც კიდევ მშფოთვარე მღელვარება, სადაც ყველაფერი ოდენ სამუშაო იყო შავი მუშის შრომასავით და საწამიერი და აუღელვებელი.

* * *

მე გამოგხსნით მეცნიერების უღლიდან, თქვენი ფორმულებიდან და კანონებიდან, გონების ბორკილებიდან, დეტერმინიზმიდან, ძველთა ბედისწერაზე ბევრად სასტიკი რომ არის. მე ჯავშანში გაჩენილი ბზარი ვარ, ხვრელი ვარ საპყრობილეში, შეცდომა ვარ სათვალავში, თავად ცხოვრება ვარ.

* * *

ადამიანი არცთუ ისე ბევრ რასმე ნიშნავს. მეჩვენება, რომ ცხოვრება სულ სხვაგვარად იგება. ზნე-ჩვეულებანი, პირობითობა, ტრადიციები – ყოველივე, არც შენ არ გეჭირვება, ყოველივე, რასაც გაექეცი... აი, რა ქმნის ცხოვრების ჩარჩოებს.

* * *

ეშინოდა, რომ ყოველივეს ის შეცვლილს ნახავდა. ცნობა გაუჭირდებოდა, ახლა კი იმას განიცდიდა, ყოველივე ძველებურად გამოიყურებოდა. არცრა შეხვედრიდან, არც მეგობართაგან არცრას აღარ ელოდა, ანგარიშმიუცემელი მოწყენილობის გარდა.

* * *

ამაღამ შენ კიდევ უფრო ცოტა კაცი მეჩვენე, ეგრევე თავბრუ დაგეხვა. დევნილს შენმა განძმა ზედ ზენიტზე მბრწყინავმა შენმა ვარსკვლავიდან ჩამოგანათა.

* * *

იმ მუშაკაცისთვის, სამყაროს შექმნას რომ იწყებს, ეს ქვეყნიერება ყოველდღე ხელახლა იშვება.

* * *

მოგზაურობას თავისთავად აზრი არა აქვს, მაგრამ რა რწმენა აღავსებს ადამიანს, ოდეს თავისი ბილეთი აქვს, თავისი კაიუტა და გახუნებული ტყავის ჩემოდანი.

* * *

ამქვეყნად იმედზე უფრო მყიფე რამ არ არის რა.

* * *

ვინც პირში შემომცქერის, აბა, ერთი ენას როდის დაასველებსო, ის არა მჭირდება. ადამიანებში ჩემი შუქისდა დარ შუქს დავეძებ. გუნდურად მღერა ერთია, სიმღერის მოგონება სხვა რამეა. ვინ გიხვაიშნებს, ოდეს ქმნი?

* * *

ის გვსჯის და ციხის კედლებსაც ის გვალესინებს, ვისაც თავისი თავის რწმენა არა აქვს. ის თავიდან იშორებს მოწმეთაც და მსაჯულთაც. მაგრამ იმისთვის, რომ სიდიადეს ეწიო, საკმარისი არ არის საკუთარი სიმდაბლის მოწმეთა განადგურება.

* * *

სამკუთხედებმა ცოტა რამ თუ აღმომიჩინეს ჩაის სმით განცდილ კმაყოფილებაში. სამაგიეროდ, ჩაით ტკბობა ცოტა რამ როდი აღმომაჩენინა ჩემს სამკუთხედებში.

* * *

ალმასის ცქერით რომ დატკბე, მარტო ალმასი ცოტაა, საჭიროა კიდევ თვინიერება, მადლიერი გული.

* * *

არიან ისეთი ადამიანები, ვისაც თავის განწირვა ძალუძს სხვათა გულისთვის, თუნდაც სიკვდილი უსარგებლო იყვეს. არადა, სიკვდილი აკეთილშობილებს ცოცხალთ, იმათ თვალები და გული ეხილებათ.

* * *

მუსიკა აცოცხლებს შენში დამაკავშირებელ ძაფთ, გამოგწვავს. მუსიკა ჭეშმარიტება არ არის, არც ყალბი რამეა. უბრალოდ არსებობას იწყებს.

* * *

ერთმანეთს მტრობენ ცალკეული სიტყვები, ცხოვრებაში სიკეთე და ბოროტება ერთმანეთს ერწყმიან.

* * *

ცეკვის, ლექსის, ალმასის არსი რისამე დაძლევაშია, რაც უხილავია და შენს შრომას ააზრიანებს.

* * *

პირველად მივხვდი, რომ ცოცვის ნიშნადობა უპასუხისმგებლობაშია, რომ ამ გაასის შერყვნა არ შეიძლება მეწვრილმანეობის, ჩარჩობის სიმახინჯით.

* * *

სიმტკიცე და მორჩილება ერთი მედლის ორი მხარეა.

* * *

ადამიანი უწინარესად ის არის, რაც არის, და სულაც ის არ არის, რაც იმან თავის თავზე იცის.

* * *

ცუდია, უკეთუ გრძნობა სულს ეტოლმეტება.

* * *

მომყმარი არაკაცია, რომელიც ფიქრის უნარს კარგავს.

* * *

ხალხის წახდენა სახელმწიფოს წახდენაზე მეტყველებს.

* * *

დიდხანს ვეძებდი, რა იყო სიმშვიდის არსი. ბოლოს მივაგენი, რომ სიმშვიდის არსი მარადისობაშია, სადაც გასრულებული რამ ბრუნდება.

* * *

მიეცი ადამიანს თავისუფლება და ეგრევ რასმე ქმნა მოესურვილება.

* * *

ადამიანიშვილი ეძებს ძალ-ღონისა და ცხოვრების დაძაბულობას და სულაც არა ბედნიერებას.

* * *

გამოცდილება მასწავლის, რომ ჯალათი და მსხვერპლი სიყვარულის პირველი სისხლიანი საათის საყვარლები არიან. მომავლის ნაყოფი ამ ორთაგან იშობა. და ნაყოფი ესე იმის ალიკვალია, ვინც გააჩინა.

* * *

ნუ ეძებ ნათელს, ვითარცა ნივთს რასმე სხვა ნივთებს შორის, ეძიებდე ქვებს, რომელთაგან ტაძარს ააშენებ და მაშინ ის გაგაბდღვრიალებს ნათლით.

* * *

უკეთუ ლპება სახელმწიფო, ყოველივე ხელს უწყობს ამ ლპობაში. რა ვუყოთ, თუ უმრავლესობა უბრალოდ ხელს უწყობს, ვითომ უთანაზიარობა და იმიტომ? მკვლელად და გულგრილ კაცად მივიჩნევ, თუ ხედავს, რომ ტბორში ბავშვი იხრჩობა და იმის გადარჩენას არ ცდილობს.

* * *

სასაცილოა ის ხორბლის მარცვალი, მიწის უხეირობას რომ ემდურება, რომელმა მიწამაც ის ამოამცენარა ყრდელად და არა კედრად. არადა, ყრდელის თესლი იყო.

* * *

ნუ იგულმავიწყებ. სიტყვა უკვე ზემოქმედებაა და უკეთუ მოქმედებას მაიძულებ, ნუღარაფრის მტკიცებას ნუ დამიწყებ. ნუთუ ჰგონებ, ადგილიდან ფეხს მომაცვლევინებ მაგ შენი საბაბსუბაბებით? მე უფრო წონიან საბაბს მოგიძებნი და ეგრევე საწინააღმდეგოდ წინ აგაფარებ!

* * *

განსწავლულობა და კეთილშობილება სხვადასხვა რამ არის, ცოდნა კი არ აკეთილშობილებს ადამიანს, კეთილშობილია ის ხელსაწყო, იმ ცოდნას თავს ერთად რომ უყრის.

(გაგრძელება მორიგ ნომერში)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №15-21

იმავ ბედნიერ ვარსკვლავზე გაჩენილი





კარლო ოდიშვილის ლირიკული შედევრი

(პირველი გვერდიდან)

კარლო – სასულიერო სახელით: **გიორგი – ოდიშვილის** ლიტერატურულ საღამოზე ვიმყოფებოდით საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკაში, წარდგინებაზე მისი პოეტური კრებულისა „მზეო, სიკვდილი გამილამაზე“, მისი სიყრმის მეგობარი ოთარ დავითაშვილი რომ გამოსცემდა და მოკლე წინათქმაში ლაკონიურად ჩატევდა ამ არაორდინარული კაცის მღელვარე ბიოგრაფიისა და პიროვნული ხასიათის ზოგად შტრიხებს, მის მიმოწყდომას თავისი თავის საძიებლად – პროფესიით ფილოსოფოსი ხატვაზე რომ გადაერთობოდა, მერე ბერადაც აღიკვეცებოდა და მამადავითის ეკლესიის წინამძღვარი გახდებოდა, მაგრამ დიდხანს აქაც ვერ გაჩერდებოდა, რაკიღა მის ბერობას პოეზია გადაწონიდა და სიტყვა-უფალი დაეუფლებოდა საბოლოოდ, თვითონ კარლო ოდიშვილს თავისი ბიოგრაფია ამ ორ სტრიქონად რომ უნდა ჩაეწურა:

ჩემში ათასი ვინმე სახლობდა,
ჩემში ათასი ვინმე ცხოვრობდაო.

ეს მიმოწყდომა კი იმით უნდა გაგრძელებულიყო, ლოგინს მიჯაჭვოდა და... აგერ ოცი წელია, ის ოთახი და ის ლოგინი გამხდარიყო მისი სამყოფელი, სულს ლექსი რომ მოათქმევინებდა.

პირველი პაწაწკინტელა წიგნი – **„...საიქავ სააქაოსი“** 2000 წელს უნდა დაესტამბათ.

მეორე – ეს უკვე გარეგნულადაც წიგნის აგებულებისა – „წილის ყრმა მთვარის სავსეობისას“ „ქართული წიგნის“ მეოხებით უნდა გამოჩენილიყო 2005 წელს.

და ერთიც მიკარგულიყო და მეორეც, ახლობელთა წრეს რომ არ გასცილებოდნენ და კარლო ოდიშვილის ლექსები კვლავინდებურად ლიტერატურის კულუარებში თუ იტრიალებდა, თვით ის შედევრიც, რომელსაც თავის დროზე ოთარ ჩხეიძე დაუბეჭდავდა გორის სალიტერატურო ალმანახის „ლიახვის“ ფურცლებზე...

ლიტერატურის კულუარები...

ერთი ყველაზე იდუმალი სფერო თუ მხარე საზოგადოებრივი და სამწერლო ცხოვრებისა, თავისი ფარული ნაღმებითა თუ ვულკანური წარმონაქმნებით, სულ სხვაგვარად რომ შეუძლია დაალაგოს დროდადრო სამწერლო ყოფაც და საზოგადოებრივი მდინარებაც, გალამაზებით ხომ ყოველთვისაც ალამაზებს და ბევრ რაიმესაც განსაზღვრავს სულიერ რეალობაში.

ამიტომაც აღელვებდა გალაკტიონ ტაბიძეს ლიტერატურის კულისების სინამდვილეც და ბედიც, და მისი გადარჩენა-შემონახვის აუცილებლობაზეც ზრუნავდა... ავტობიოგრაფიული წიგნის დაწერას რომ განიზრახავდა და გეგმასაც მოხაზავდა გონებაშიც და ფურცელზეც, უპირველესად სწორედ ლიტერატურის კულუარების დახატვას გადაწყვეტდა, იმ ადამიანებისა, რომელნიც უანგაროდ ემსახურებოდნენ მწერლობას საერთოდ და პოეზიას კერძოდ და ჰქმნიდნენ იმ აუცილებელ ფონს, ურომლისოდაც ძალიან გაუძნელდებოდა თვით გენიოსსაც თავის გამოვლენა ბოლომდე.

მათგან არანაკლებ დავალებულად მიიჩნევდა თავს გალაკტიონი, ვიდრე დიდ სახელთაგან, რომელთა ზეგავლენის კვალსაც არასოდეს ფარავდა.

გალაკტიონის ამ შეხედულებასა და სწრაფვას გაიმეორებდა და გააგრძელებდა მურმან ლებანიძე, რომელიც დაბეჯითებით განაცხადებდა:

ზოგი რამ ლიტერატურის კულისებისა, ეპოქები რომ ჩაივლიან, ბევრად უფრო საინტერესოდ მოჩანს ხოლმე შორიდან, ვიდრე თვით მიმდინარე ლიტერატურული ცხოვრების ავანსცენაზე დადგმული და ათწლედებში გაგრძელებული პოეტური სპექტაკლებიო...

და თუ ჩვენს დროში ვინმე გადაწყვეტს გალაკტიონის ამ განზრახვის აღსრულებას და ლიტერატურის კულუარების რაც შეიძლება სრულყოფილად წარმოჩენას, აუცილებლად დაისაჭიროებს კარლო ოდიშვილის პოეტურ სიტყვასაც, დაგვირგვინებულს იმ ლირიკული წარწერით სამარის ლოდზე...

სხვათა შორის მურმან ლებანიძე იმ ჭეშმარიტებასაც საგანგებოდ აღნიშნავდა, ერთი ლექსიც რომ ჰყოფნის პოეტს შორი გზების საგზლად, და სანიმუშოდ ორიოდეს გიხსენებდა:

ერთი **„მე პატარა ქართველი ვარ“** აცოცხლებდა დუტუ მეგრელს და საქართველოს ერთი მოზაიკური სურათი ეყოფოდა დასაფასებლად ჩვენს დროში თითქმის უცნობ მის ავტორს – ნოე ზომლეთელს. და ნოე ჩხიკვაძის ის ერთი ლექსიც იმავ ბედნიერ ვარსკვლავზე გაჩენილიყო...

ჩამონათვალი შეიძლება გავაგრძელოთ რაფიელ ერისთავის სახელითაც და ნიკო ლომოურისაც და ნინო ორბელიანისაც და ნინო თარიშვილისაც და მიხა ხელაშვილისაც და აგერ ჩვენს დროში ანზორ აბულაშვილისაც...

ესეც კიდევ ერთი იდუმალი ძალა და მადლი პოეზიისა: რამდენიმე სტრიქონმაც რომ შეიძლება გაგაუკვდავოს.

და კარლო ოდიშვილის ეს ლირიკული შედევრიც „წარწერილი პოეტის საძვალეზედ“ როგორ არ ვიგულისხმოთ იმავ ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულად, ნებისმიერი ყაიდის ანთოლოგიას რომ დაამშვენებს და პოეტი გრანდების გვერდითაც არ გაფერმკრთალდება, არამცთუ გაქრეს.

ქართული პოეზიის ანთოლოგია სრულფასოვანი ვერ იქნება, თუ არა ეს რვა სტრიქონი.

და თუ კვლავ გამოიცემა ერთხელ უკვე დასტამბული ორიგინალური აღნაგობის ანთოლოგიაც „ვით მარგალიტი ობოლი“ – ემზარ კვიტაიშვილისა და ტარიელ ჭანტურიას მიერ შედგენილი წიგნი, ყველა პოეტი თითო ლექსით რომ წარმოდგებოდა – იქ ხომ აუცილებლად ჰპოვებს თავის ადგილს „წარწერა პოეტის სამარის ლოდზე“.

მთავარია, რომ ამ მესამე პოეტური კრებულისა და ამ ლიტერატურული საღამოს შემდეგ უკვე აღარ იქნება ისერიგად მიყრუებული კარლო ოდიშვილის სახელი; და ნიშანდობლივია, თავყრილობა დასასრულს რომ მიუახლოვდებოდა, ჩვენი ცნობილი რეჟისორი ბუბა ხოტივარი აღტაცებული წამოიჭრებოდა ადგილიდან და შესთავაზებდა კარლო ოდიშვილის ნიჭის დამფასებელთ: ერთი დიდი საღამო მოემზადებინათ, რომლის ჩასატარებლადაც „კინოს სახლის“ დარბაზი მათ განკარგულებაში იქნებოდა. ის კი არა, ფირზეც გადააღებინებდა მის მსვლელობას, რათა ეს ღირსეული კაცი და მისი პოეტური სიტყვა რაც შეიძლება მეტ ადამიანს გაეცნო.

მოხიბლავდა ეს ლექსიც და სხვა არაერთი ლირიკული ნიმუშიც, სცენიდან რომ გაისმოდა. და ამ თავყრილობას ის გამორჩეული მნიშვნელობაც ექნებოდა, სპექტაკლს რომ დაემსგავსებოდა, რაც მეტად იშვიათად ხდება, მაგრამ მაინც ხომ ხდება დროდადრო და არასოდეს უნდა გამოგვრჩეს ამგვარი ლიტერატურული საღამოების მნიშვნელობა, ამჯერად დრამატურგიც და რეჟისორიც ერეკლე საღლიანი რომ აღმოჩნდებოდა, საკმაოდ გამოცდილი წამყვანი ასეთი თავყრილობებისა, მაგრამ ამ შემთხვევაში თავისი თავისთვისაც უნდა გადაეჭარბებინა და რჩეული საღამოთი აღებეჭდა ჩვენი კულტურული და ზნეობრივი ისტორია.

ერთიერთმანეთზე უკეთესი გამოსვლების შემსწრენი გავხდებოდით, არაერთი საგულისხმო მოსაზრება და დაკვირვებაც რომ უნდა მოგვესმინა და არაერთი დამაფიქვრელი ეპიზოდიც, ზელიმხან მაღრაძის ერთი ნაამბობი ბუბა ხოტივარს რომ ათქმევინებდა: გამზადებული სცენარიაო.

მამა ქრისტეფორე წამალაიძე ზეპირად დაიმოწმებდა კარლო ოდიშვილის ლექსებს და მათ შორის ბალადასავით ნიმუშს: „მუზა და პოეტი“.

ნოშრევან არაბული – პოეტი, პროზაიკოსი, მკვლევარი – დაწერილს გამოიტანდა თავის მოგონებებს, რაკიღა ნოველასავით აეგო და ასეც უნდა მოგვესმინა.

ისტორიკოსები ჯუმბერ კოპალიანი, დისიდენტი საბჭოთა ეპოქაში, მისი იატაკქვეშა მოღვაწეობაც რომ ამშვენებს ჩვენს ეროვნულ მოძრაობას, საგანგებოდ აღნიშნავდა, ხევი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა რომ გახლდათ ეროვნული მოძრაობისა.

ეს მოსაზრება კი თავისთავად წამოატივტივებდა იორამ ღუდუშაურის სახებას, ახალი დროის მინდიასი, რომლის ღვაწლითა და ნატანჯი ცხოვრებითაც ჩამოყალიბდებოდა ის თვალსაჩინო კერა, თავის გარშემო რომ შემოიკრებდა და გაწვრთნიდა ახალგაზრდებს არა მარტო პატრიოტებად, არამედ ლიტერატორებად და ხელოვანებადაც.

პაატა ჩხეიძესთან ერთად ხშირად მიწევდა იორამთან ჩასვლა და დღეობით და კვირაობითაც დარჩენა სნოში, მის საკვირველ ეზო-კარში, და სულ იქ ტრიალებდნენ: კარლო ოდიშვილიც, მერაბ ფირანიშვილიც, ელგუჯა ღუდუშაურიც, ნოშრევან არაბულიც, სოსო გელაშვილიც, ჯიქი სეთურიძეც, ავთანდილ დავითაშვილიც... და იწოვდნენ და ითვისებდნენ ყველაფერს, რისი შეწოვაც და შეთვისებაც შეიძლება მინდიას სულიერი ჩამომავლისა თუ ტოლ-სწორისაგან.

წვრთნიდა ილია ჭავჭავაძით, ალექსანდრე ყაზბეგითა და ვაჟა-ფშაველათი, ელეთ ღუნია თავისი პაპის პაპისაგან რომ აღარც განერჩეოდა კარლოს, ხოლო ალექსანდრე ყაზბეგის მოხსენიება უფრო მისი იმ ფსევდონიმით ერჩივნა, იმპერიული რუსეთის წინაშე შეუდრეკელობას რომ გულისხმობდა: მოჩხუბარიძე,– და მისი ჰეროიკული და ტრაგიკული ცხოვრება ასე რომ უნდა გადიადებულიყო კარლო ოდიშვილის ხელითაც, თვალდათვალ რომ ხედავდა, თუ როგორ ჰკლავდა გარდაცვლილ ყაზბეგსაც ტანჯულთა განცდა და ცაზე დარდის მზედ ამიტომაც დაცურავდა.

და მიჰყვებოდა შთამომავლის აღტაცებული სტრიქონები:

შენ ტანჯვით უფალს ედრები, სულითაც ჰგავხარ იესოსო.

შეკრებას კი თავისებურად დაამშვენებდა ეთერ თათარაიძე იმ ამბის გახსენებით, თუ როგორ მოუწევდა შეხვედრა სკოლის მოსწავლეებთან ვახუშტი კოტეტიშვილსა და კარლო ოდიშვილთან ერთად, პირველად რომ მოისმენდა მის ლექსებს და აღტაცებული დარჩებოდა პოეტური სახიერებითაც და დეკლამატორული ხელოვნებითაც.

მიუხედავად ოსტატური კითხვისა, კარლო ერიდებოდა ხოლმე სუფრაზე თავისი ლექსების წარმოთქმას, და მხოლოდღა მაშინ, როდესაც ძალიან შევუჩნდებოდით, იტყოდა ხან რომელსა და ხანაც რომელს, თვითონ მაინც „მუზა და პოეტი“ რომ ეგონებოდა თავისი საუკეთესო ლექსი. მის პოეტურ-ეთიკურ მრწამსს კი გამოხატავს ხელშესახებად ეს პოეტური ნიმუში, მაგრამ „წარწერა პოეტის სამარის ლოდზე“ მაინც სხვა განზომილების ლირიკული ნიმუშია...

ისე მოხდებოდა, რომ ეს ლექსი... ორჯერ დაიბეჭდებოდა ამ კრებულში იმ განსხვავებული სათაურებით: „წარწერა პოეტის სამარის ლოდზე“ და „წარწერილი პოეტის საძვალეზედ“, ჩემს ნებაზე რომ იყოს, იმ პირველს ვამჯობინებდი, ოღონდ „პოეტის“ ამოკლებით. სჯობს, იგულისხმებოდეს, ვიდრე ასე პირდაპირ ეწეროს. „წარწერა სამარის ლოდზე“ უფრო ბევრისმთქმელი იქნებოდა, უფრო იდუმალიც და მისტიკურიც...

ხოლო პიროვნული მორიდებულობა კარლო ოდიშვილისა იმითაც უნდა გამჟღავნებულიყო, ლექსს „ცხენთა შეჯიბრებაზე“ თვით ირონიით რომ განმსჭვალავდა.

ცეცხლს აკვესებდა, არ ისვენებდა, მიჰქროდა ცეცხლთა ცხელებით, მერანსა და ლურჯა ცხენებს მისდევდა... ჯოხის ცხენებით, და:

დიდი რბევა, შარა გრძელი, ბედიც ალმაცერია – არ მაშინებს ეს გზა გრძელი მხედარს ჯოხის ცხენიანსო!..

ხოლო თავყრილობაზე არაერთგზის ითქმოდა მადლიერება ოთარ დავითაშვილის მიმართ, ურომლისოდაც არც ეს მოზრდილი პოეტური კრებული „მზეო, სიკვდილი გამილამაზე“ იარსებებდა და აღარც ეს ლიტერატურული საღამო, თვითონ ბატონი ოთარი კი მადლიერებით მოიხსენიებდა ანი გელაშვილს, რომელიც იმთავიდან ამთავამდე ჩართულიყო ამ თავყრილობის მომზადებაშიც და რომლის მონდომებითაც გავმხდარიყავით მხილველნი ამ რჩეული თავყრილობისა.

ეთერ თათარაიძე თავის მხრივ დასძენდა:

არ არსებობს რაიმე სასიკეთო მოხდეს ხევის საზოგადოებრივ და კულტურულ ყოფაში უანიგელაშვილოდ...

სიმღერებიც რომ გალამაზებით გაალამაზებდნენ ამ შეკრებას, ესე ბუნებრივია და როგორ არ უნდა დაუფასო მის მონაწილეებს, მარინე კოლხიდაშვილი იქნება თუ სოსო ზურაბაული, ლევან გოლიაძე, გოგიტა გოგატაძე, კობა გიგუშვილი, ლევან სამყურაშვილი და პაატა შუბუთიძე, მით უმეტეს – ზოგი საქართველოს რომელი მხრიდან რომ ჩამოვიდოდა საგანგებოდ და ზოგიც რომელი...

* * *

იმავ ბედნიერ ვარსკვლავზე გაჩენილიო...

ბედნიერ ვარსკვლავად ითქმის, აბა სხვა რად, როდესაც ამ სტრიქონებს ჩაიკითხავ სუნთქვაშეკრული:

ნუ სტირი, თეთრო ყამარო,
ცრემლით ნუ დამაბეჩავებ,
გან მივალ სამოსამაროდ,
მზედ ამოველ და მზედ ჩაველ.
ცამ განა წესი მოშალა,
სიკვდილ რომ გგონავ ქაოსი,
ბიბინებს სულის შროშანა
საიქავ-სააქაოსი.

ვერ შეიტანენებისმიერ ანთოლოგიაში თუ რა!..

სადმე გაფერმკრთალდება, სადმე გახუნდება თუ ხელში შემოგადნება?!.

და ეპოქები რომ გადაიკეცება, ბევრად უფრო ფასეულად გამოჩნდება შორიდან კარლო ოდიშვილის ეს სულიერი მონაპოვარი, ვიდრე ლიტერატურული ცხოვრების ავანსცენაზე თუნდ ჩვენს თვალწინაც დადგმული და ათწლედებშიაც გაგრძელებული პოეტური სპექტაკლები.

...მთელი წიგნი დაიწერება ჯერ მარტო მის მეორე სტროფზეო, – არც ეეჭვება ამირან არაბულს, ალბათ თვითონვეც რომ სინჯავს უკვე გუნებაში მომავალი მონოგრაფიის კონტურებსა და ზოგად აღნაგობას.

როსტომ ჩხეიძე

ირმა ინაშვილი: „ენდიაის“ კვლევა პოლიტიკური კორუფციის მაგალითია, რაც დანაშაულია და უნდა დასაჯოს!

„ენდიაის“ კვლევა პოლიტიკური კორუფციის მაგალითია, პოლიტიკური კორუფცია კი დანაშაულია და დასჯადია“, — ამის შესახებ „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერმა, პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ირმა ინაშვილმა განაცხადა.

„აქ საუბარი აღარ არის მხოლოდ პარტიების რეიტინგზე. „ენდიაის“ კვლევა და ქალბატონი თორტონის საქართველოში საქმიანობა საფრთხეს უქმნის ჩვენს ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ინტერესებს. ეს ე.წ. კვლევა არის პოლიტიკურად მიკერძოებული, ანგაჟირებული და ცალმხრივი. ეს თავხედობა უნდა დამთავრდეს. ქალბატონი თორტონი არ არის თავისუფალი. დიახ, ეს კვლევა პოლიტიკური კორუფციის მაგალითია. პოლიტიკური კორუფცია კი დანაშაულია და დასჯადია“, — განაცხადა ჟურნალისტებთან ინაშვილმა.

„პატრიოტთა ალიანსი“ ტყუილს უპირისპირდება.

„ჩვენ ვუპირისპირდებით მცდელობას, გარკვეულმა ჯგუფებმა ჩვენს ქვეყანას თავს მოახვიონ აბსოლუტურად ვირტუალური რეალობა, რაც მოწყვეტილია სინამდვილეს, ქართველი ხალხის რეალურ განწყობას. ეს ახლა არ დაწყებულა და ჩვენში ეს პროტესტიც დღეს არ გაჩნდა. „ენდიაის“ და „აირაის“ თბილისის ფილიალების საქმიანობაზე ვსაუბრობ. ყველას კარგად მოეხსენება, რომ ამ ორგანიზაციების კვლევებისადმი საზოგადოებაში სრული უნდობლობაა. ქართველი საზოგადოება თანხმდება იმაზე, რომ მათი არც ერთი პროგნოზი და კვლევის შედეგი არ გამართლებულა და ცდომილება უზარმაზარია“...



მისი თქმით, ბოლო წლებში განსაკუთრებით არის გამოკვეთილი ამ ორი ორგანიზაციის მხრიდან გარკვეული პოლიტიკური ჯგუფების მხარდაჭერა.

„მგონი, უკვე პატარა ბავშვიც ხვდება, რომ ამ ქვეყანაში ის რეალობა არ არის, რა პროცენტებსაც თავს გვახვევს ამ შემთხვევაში „ენდიაი“, რომელმაც ბოლო კვლევა გამოაქვეყნა. პირდაპირ ჩანს მცდელობა, რომ კვლავ სააკაშვილ-ბოკერიას პოლიტიკური ჯგუფები და მათთან მიბმული პარტიები გაიტანონ, დაეხმარონ და დააწინაურონ. ეს ყველაფერი ღიად ჩანს. თუ ადრე იყო მცდელობა, ეს პროცენტები რაღაცნაირად შეელამაზებინათ, დღეს სრულიად ცინიკური გზით წავიდნენ და უკვე ქართველი ხალხი თავს შეურაცხყოფილად გრძნობს“, — განაცხადა ინაშვილმა.

მისი თქმით, „პატრიოტთა ალიანსმა“ თბილისის შემდეგ უზარმაზარი მასშტაბის გამოკითხვა ჩაატარა საქართველოს სამ დიდ ქალაქში — ქუთაისში, ბათუმსა და რუსთავში და ამ კვლევამ ტენდენციებთან ერთად რეალური რეიტინგებიც აჩვენა.

„ჩვენ პრაქტიკულად, სახალხო რეფერენდუმი ჩავატარეთ ამ სამ დიდ ქალაქში. 214 000 ადამიანი გამოვკითხეთ და ეს სეგმენტი, 214 000 ადამიანი არ არის ავატარების ერთობა. ესენი არიან კონკრეტული მოქალაქეები, რომლებიც ანკეტას ავსებენ და გვამცნობენ, თუ რომელ პარტიას უჭერენ მხარს. სხვათა შორის, იქ შეკითხვები „ენდიაისა“ და „აიარაისთან“ დაკავშირებითაც არის და მათ კვლევებს გამოკითხულთა მხოლოდ 3 % ენდობა, ხოლო 80,1% აბსოლუტურად არ ენდობა. არის სეგმენტი, რომელიც „ენდიაის“ არასდროს გამოუკითხავს...

მისივე თქმით, „პატრიოტთა ალიანსმა“ ეს დოკუმენტაცია ღიად გამოიტანა ბრიფინგებზე და მედიას საშუალება ჰქონდა, ნებისმიერი ფურცელი გადაეგმოწმებინა, „ენდიაი“ კი ამას არასდროს აკეთებს.

„ეს გააკეთოს „ენდიაიმ“. დააკვირდით, მისი მასშტაბი როგორია — 1800-დან 2 000-მდე რესპონდენტი და ისიც ინკოგნიტო, ფარული. ვფიქრობ, ეს ბაზა საერთოდ არ არსებობს და პირდაპირ იმ მონაცემებს წერენ, რაც მათ უნდათ. ამ შემთხვევაში, ქალბატონ თორტონს უნდა, სააკაშვილი და ბოკერია დააწინაუროს. დიახ, უნდა. ჩვენმა კვლევამ აჩვენა, რომ სააკაშვილის პარტიას მხოლოდ 6,3% უჭერს მხარს, ბოკერიას პარტიას — 0,48%, ნათელაშვილს კი — 0,2%. აი, რა არის მათი რეალური რეიტინგი. ამ ორბიტაზე მიბმული 29 თუ 30 პარტიის რეიტინგი ჯამში, 1,3%-ია“, — განაცხადა ინაშვილმა.

„პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერმა ასევე აღნიშნა, რომ როდესაც საზოგადოების მხრიდან „ენდიაისა“ და „აიარაის“ კვლევების მიმართ სრული უნდობლობაა, კვლევები უნდა შეჩერდეს და ამ ორგანიზაციების მხრიდან მათი ტირაჟირება უნდა შეწყდეს.

„ქვეყნის შიგნით უნდა ვიმოქმედოთ, რომ ეს ტყუილი დავანგრიოთ და აქ ჩვენი თანამოქალაქეების აქტიურობის დიდი იმედი მაქვს, ქვეყნის გარეთ კი, იმედი მაქვს, პირველ რიგში, აშშ-ის ხელისუფლება ბოლოს და ბოლოს დაინახავს ქართველ ხალხს და დაინახავს იმას, თუ რაოდენ დიდია ქართველი ხალხის გაბრაზება საქართველოში ამერიკული ორგანიზაციების კვლევების მიმართ. ჩვენ არ ვართ საცდელი ლაბორატორია. არ ვართ თორტონის, დევიდ კრამერის, ვიღაც შენემანის და სხვების საცდელი ლაბორატორია“, — განაცხადა ირმა ინაშვილმა.

ირმა ინაშვილს დიდი მოლოდინი აქვს, რომ საქართველოში აშშ-ის ახალი ელჩი ამ თემით დეტალურად დაინტერესდება.

დამთავრდება ომი ავღანეთში?

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა კონგრესის წინაშე ავღანეთში ომის დასრულების პირობა დადო. ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტმა კონგრესში ყოველწლიური მიმართვის დროს განაცხადა.

„ჩვენ ვმუშაობთ, რათა დავასრულოთ ამერიკის ყველაზე ხანგრძლივი ომი და დავაბრუნოთ სამხედროები სახლში“, — განაცხადა პრეზიდენტმა.

„ავღანეთში ჩვენი სამხედრო მოსამსახურეების სიმამაცემ მოგვცა საშუალება, არნახული პროგრესისთვის მიგვეღწია.

მე არ მინდა, ასობით ათასი ადამიანის დახოცვა ავღანეთში, რომელთაგან ბევრი უდანაშაულოა. ასევე, აშშ-ის ფუნქცია არ არის, სხვა ქვეყნების სამართალდამცავი სააგენტო იყოს“, — განაცხადა დონალდ ტრამპმა.

მარსზე პირველი აშშ-ის დროშა უნდა აფრიალდეს!

— ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა კონგრესში ყოველწლიური მიმართვის დროს განაცხადა. მისივე თქმით, აშშ უნდა გახდეს პირველი ქვეყანა, რომელიც მთვარეზე ქალ ასტრონავტს გაგზავნის.



„მოვუწოდებთ კონგრესს, სრულად დააფინანსოს კოსმოსური პროგრამა „არტემისი“, რათა გარანტირებული იყოს, რომ შემდეგი კაცი და პირველი ასტრონავტი ქალი მთვარეზე ამერიკელები იქნებიან. ეს იქნება საწყისი, იმისთვის, რომ ამერიკა გახდეს პირველი ქვეყანა, რომლის დროშაც მარსზე აფრიალდება“, — განაცხადა ტრამპმა.

ნენსი პელოსიმ ტრამპზე შური იძია

აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის სპიკერმა ნენსი პელოსიმ აშშ-ის პრეზიდენტ დონლდ ტრამპის კონგრესში გამოსვლის ტექსტი საჯაროდ დახია. როგორც ცნობილია, აშშ-ის პრეზიდენტმა საკუთარი გამოსვლის ტექსტის ასლი მას კონგრესში მისვლის დროს გადასცა.

აღსანიშნავია, რომ მანამდე კონგრესში ყოველწლიურ გამოსვლაზე მისულმა აშშ-ის პრეზიდენტმა წარმომადგენელთა პალატის სპიკერ ნენსი პელოსის ხელი არ ჩამოართვა. კადრებში ჩანს, რომ პელოსიმ ტრამპს ხელი გაუწოდა, მან კი ხელი არ ჩამოართვა.

ლუკაშენკო კორუფციონერებს თავისი სტილით ებრძვის

ბელარუსის პრეზიდენტ ალექსანდრ ლუკაშენკოს თქმით, მინსკი-მიუნხენის რეისი მისი ბრძანებით დააბრუნეს უკან, რადგან ბორტზე კორუფციონერები იმყოფებოდნენ. საუბარია 24 იანვარს მომხდარ ინციდენტზე, რა დროსაც ავიაკომპანია „ბელავიაის“ თვითმფრინავი პოლონეთის საჰაერო სივრციდან უკან ბელარუსში დააბრუნეს. ქალაქ გროდნოში დაშვების შემდეგ სამგზავრო ლაინერის ბორტზე ფორმიანი ადამიანები ავიდნენ და რამდენიმე სახელი ამოიკითხეს, რის შემდეგაც მათ 6-8 მგზავრი ჩაიყვანეს ბორტიდან, რომელთა შორისაც იყო ორი არასრულწლოვანი გოგონა. შედეგად მიუნხენის რეისი რვა საათის დაგვიანებით შესრულდა. ავიალაინერის კაპიტანმა მომხდარი „ტექნიკური გაუმართაობით“ ახსნა.

დღეს კი ბელარუსის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ თვითმფრინავი პოლონეთიდან მისი ბრძანებით დაბრუნეს, რადგან კორუმპირებული პირების ევროპაში გაქცევის საფრთხე არსებობდა. როგორც ბელარუსის მედია წერს, დაკავებულები შაქრის ოთხი ქარხნის დირექტორები არიან. სულ ამავე საქმეზე დაპატიმრებულია 11 პირი.

როგორც ბელარუსის პრეზიდენტმა განაცხადა, „შაქრის ქარხნების“ დირექტორებმა მოსკოვში სავაჭრო სახლი დააფუძნეს, სადაც თავისი ხალხი დანიშნეს. შემდეგ ამ სავაჭრო სახლს იაფად მიჰყიდეს ბელარუსში წარმოებული შაქარი და მერე ბაზარზე ძვირად ყიდდნენ, ხოლო სხვაობას ქრთამის სახით დირექტორები იღებდნენ.

დედამიწაზე სიგიჟის ქარი უბერავს

გაეროს გენერალური მდივნის თქმით, დღეს დედამიწაზე სიგიჟის ქარი უბერავს.

როგორც ანტონიუ გუტიერეში ამბობს, სამყარო დღეს არაპროგნოზირებადი და უკონტროლოა. ამის მაგალითად, მან ლიბიაში, სირიასა და იემენში არსებული ვითარება მოიყვანა.

„მე ერთხელ ვისაუბრე იმედის ქარზე, მაგრამ დღეს დედამიწაზე სიგიჟის ქარი უბერავს. ლიბიიდან იემენამდე, სირიამდე და უფრო შორს. დაძაბულობა დაბრუნდა. შეიარაღება მიედინება ყველგან და თავდასხმები მატულობს. ყველა სიტუაცია განსხვავებულია, მაგრამ დაძაბულობა იმატებს, რის გამოც ყველაფერი არაპროგნოზირებადი და უკონტროლო ხდება. ეს ყველაფერი ზრდის არასწორი გათვლების ალბათობას“, — განაცხადა გუტიერეშმა.

ფაქტები კორონავირუსზე – რა ხდება დღეს ჩინეთსა და მსოფლიოში

კორონავირუსით **დაავადებულთა და დაღუპულთა რიცხვი იზრდება. ჩინეთი თანდათან უფრო ემიჯნება დანარჩენ მსოლფიოს. ბოლო მონაცემებით, ჩინური ვირუსით 30 000-მდე ადამიანია ინფიცირებული, დაღუპული კი 490 ადამიანია.**

ოფიციალური მონაცემებით, ამ დროისთვის თავად ჩინეთში ინფიცირებულთა რაოდენობა 24 324-ს აღწევს, იაპონიაში — 20-ს, ხოლო ტაილანდში - 19-ს. რაც შეეხება დაღუპულთა სტატისტიკას: ჩინეთში 490 ადამიანია ვირუსით დაღუპული, ფილიპინებში ერთი. ვირუსისგან განიკურნა 500-მდე ადამიანი.

გასულ კვირას ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ, კორონავირუსის გავრცელების გამო საგანგებო ვითარება გამოაცხადა. ცოტა ხნის წინათ კი ორგანიზაციამ ვიდეოგრაფიკა გაავრცელა, სადაც ნაჩვენებია, თუ როგორ გამოიყურება ე.წ. მკვლელი ვირუსი.

ვირუსის საფრთხე – რა ხდება ჩინეთში?

ვითარება ჩინეთში საკმაოდ მძიმეა. მილიონობით ადამიანი კარანტინშია. დაცარიელებულია ქალაქები, მათ შორის ჩინეთის დედაქალაქიც.

რაც შეეხება პროვინციას, სადაც ვირუსი თავდაპირველად გავრცელდა, აქ მილიონობით ადამიანი კარანტინში აგრძელებს ცხოვრებას. დაცარიელებულია ქ. ვუჰანის ქუჩები და მაღაზიები. უკვე დასრულდა ორი საავადმყოფოს მშენებლობაც, რომლებიც ჯამში 2 000 პაციენტის მიღებას შეძლებენ.

ვუჰანიდან სხვადასხვა ქვეყნები საკუთარი მოქალაქეების ევაკუაციას აგრძელებენ. რამდენიმე საათის წინ ავსტრალიამ ოფიციალურად განაცხადა, რომ საკუთარი მოქალაქეების გაყვანას გეგმავს.

უკვე ცნობილი გახდა, რომ ვუჰანის პროვინციიდან კანადამ ყველა თავისი მოქალაქის ევაკუაცია განახორციელა.

ვუჰანიდან ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 200 მოქალაქე უკვე გამოიყვანა, სპეცრეისები შეასრულა საფრანგეთმა და დიდმა ბრიტანეთმა. საკუთარი მოქალაქეების ევაკუაცია განახორციელა თურქეთმაც. ვუჰანიდნან ევაკურიებულ ადამიანებს შორის საქართველოს მოქალაქეებიც არიან.

ევაკუირებული ადამიანების ჯანმრთელობის მდგომარეობა:

ჩინეთიდან ამ დროისთვის სხვადასხვა ქვეყნის 1000-მდე ადამიანია ევაკუირებული. ყველა მათგანი ამ დროისთვის კარანტინში იმყოფება, მათ შორის საქართველოს მოქალაქეებიც. კარანტინი ორკვირიანია, გამომდინარე იქიდან, რომ კორონავირუსის სიმპტომების გამოვლენას, შესაძლოა, 2 კვირა დასჭირდეს.

კორონავირუსი და საქართველო

საქართველო, ვირუსის გავრცელების მხრივ, დაბალი რისკის ქვეყნებს შორის არის, თუმცა ამ დროისთვის რამდენიმე ადამიანი დაკვირვების ქვეშ იმყოფება. ისინი ინფექციურ საავადმყოფოში არიან გადაყვანილი. საბოლოო პასუხი მათ ინფიცირებასთან დაკავშირებით, ამ დროისთვის ცნობილი არ არის.

2020 წლის 2 თებერვალს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში გაიმართა ბრიფინგი სახელწოდებით კორონავირუსისა და გრიპის ეპიდსიტუაციის მიმოხილვა. ბრიფინგზე ბატონმა ამირან გამყრელიძემ განაცხადა: „ჩინეთში სერიოზული ეპიდსიტუაციაა. დღევანდელი დილის მონაცემებით, რომლითაც ჩვენ ჩინეთის დაავადებათა კონტროლის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით ვთანამშრომლობთ, გახლავთ 24 324 ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევა ჩინეთში, აქედან, სამწუხაროდ, არის 490 გარდაცვალების შემთხვევა. გამოჯანმრთელდა და საავადმყოფოებიდან გაეწერა 475 ადამიანი“, ბატონმა პაატა იმნაძემ კი ჟურნალისტებს განუცხადა — ისეთი მასშტაბის გმირობა არსად მინახავს, რაც დღეს ჩინეთშია.

ამირან გამყრელიძე მშობლებს რეკომენდაციას აძლევს, რომ თუკი ბავშვს ტემპერატურა ექნება, სკოლაში არ გაუშვან, მოქალაქეებს კი ურჩევს, ვირუსების თავიდან ასაცილებლად საჭირო აცრები ჩაიტარონ.

ვითარება ამერიკის შეერთებულ შტატებში:

ბოლო ინფორმაციით, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კორონავირუსი 11 ადამიანს დაუდასტურდა. ინფიცირებული ადამიანები სხვადასვა შტატებში იმყოფებიან და ისინი სამედიცინო დაწესებულებებში არიან გადაყვანილები. ნიუ-იორკის მერიამ რამდენიმე საათის წინ გაავრცელა ინფორმაცია, რომ დაკვირვება მიმდინარეობს ერთ-ერთ მოქალაქეზე, რომელიც ვუჰანიდან სულ რამდენიმე დღის წინ დაბრუნდა.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა პროვინციიდან 200 ამერიკელი გამოიყვანა, საგანგებო რეისი გასულ კვირას შესრულდა. ცოტა ხნის წინ, „როიტერის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ამერიკელმა სპეციალისტებმა კიდევ ერთი შემთხვევა დაადასტურეს, როდესაც კორონავირუსი ადამიანიდან ადამიანზე გადავიდა.

აშშ – ჩინეთი

გასულ კვირას ჩინეთს დახმარება ოფიციალურად შესთავაზა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რაზეც უარი მიიღო. ამერიკელ სპეციალისტებს ჩინეთმა უარი უთხრა დახმარებაზე და ვითარებაში გარვევაზე. დღეს კი ჩინური მედიასაშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია, რომელშიც ჩინეთი შტატებს ვირუსის გარშემო ვითარების დამძიმებაში ადანაშაულებს.

კორონავირუსი – ევროპა

ევროპის მასშტაბით, ამ დროისთვის კორონავირუსით ინფიცირებულია 23 ადამიანი. კარანტინში ამ დრომდე რჩება ათობით ადამიანი.

კორონავირუსი – რუსეთის რეაქციები

რუსეთში, ოფიციალური მონაცემებით, 2 ადამიანია ინფიცირებული. რამდენიმე საათის წინ რუსეთის ახალმა პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ქვეყნიდან ყველა იმ უცხოეთის მოქალაქის დეპორტაცია მოხდება, რომლებსაც კორონავირუსი დაუდასტურდება. განცხადება რუსეთის მთავრობის სხდომაზე მიხეილ მიშუსტინმა გააკეთა.

კორონავირუსის გამო ჩინეთის მიმართულებით რამდენიმე მსხვილმა ავიაკომპანიამ რეისები გაურკვეველი დროით გააუქმა.

კორონავირუსის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ბევრი არაზუსტი ინფორმაცია ვრცელდება, ამის გამო სოციალურმა ქსელმა „ფეისბუქმა“ გამოაქვეყნა ინფორმაცია, სადაც კომპანია ამბობს, რომ პლატფორმიდან დაუდასტურებელი ინფორმაციების აღება მოხდება.

ჩინეთში არსებული ვითარებიდან გამომდინარე, კომპანია „ეფლმა“ ცოტა ხნის წინ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ჩინეთის გარკვეულ პროვინციებში მაღაზიები დახუროს.

ჩინეთის გარკვეულ პროვინციებში, კორონავირუსთან ერთად, ქათმის გრიპის ათობით შემთხვევაც დადასტურდა. ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია საგანგაშოდ აფასებს.

საბა გუჯაბიძე

გრიპის დამარცხების კონტურები?

ამჟამად **მთელი მსოფლიო, როგორც იტყვიან, „ფეხზე დგას“: კორონავირუსის გავრცელების საშიშროება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ სავსებით რეალურ, სიცოცხლისთვის უაღრესად საშიშ საფრთხედ აღიარა. 2020 წლის დამდეგიდან არაერთმა ქვეყანამ ჩინეთთან მგზავრთა მიმოსვლა ან საერთოდ შეწყვიტა, ანდა უაღრესად შეკვეცა.**

წარსულის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ინფექციურ დაავადებათა, კერძოდ, გრიპის სხვადასხვა ტიპის გავრცელების სასიკვდილო საშიშროება სავსებით რეალური საფრთხეა. მაგალითად, აქამდე გრიპის — ეგრეთ წოდებული „ესპანურას“ — ყველაზე ცნობილ პანდემის, 1918-19 წლებში 50-დან 100 მილიონი კაცის სიცოცხლე შეეწირა. ეს კი მეორე მსოფლიო ომში კაცობრიობის დანაკარგებთან შესადარი ციფრია.

გრიპის სივერაგე მის ცვალებადობაში მდგომარეობს, ის გამუდმებით მუტაციას განიცდის და ვირუსის ეს არასტაბილობა მეცნიერებს ისეთი უნივერსალური ვაქცინის შექმნის შესაძლებლობას არ აძლევს, რომელიც ადამიანის დაცვას ხანგრძლივი ვადით შეძლებდა. თუმცა კი, **გრიპის ვირუსის გენომის გაშიფრვამ აჩვენა, რომ უნივერსალური ვაქცინის შექმნა მაინც შესაძლებელია.** საქმე ისაა, რომ, მართალია, ვირუსის ზოგიერთი უბანი გამუდმებით კი იცვლება, სამაგიეროდ, სხვები სტაბილური რჩება, ამიტომ მათ წინააღმდეგ შესაძლებელია ანტისხეულების გამომუშავება.

— სადღეისოდ მსოფლიოში რამდენიმე ლაბორატორიაა, რომელიც საკმაოდ შორსაა წინ წაწეული გრიპის ვირუსის გამოკვლევებში და ერთობ დამაიმედებელი შედეგიც აქვს მიღწეული, — აცხადებს ამერიკის შეერთებული შტატების ჯანდაცვის უსაფრთხოების ჯონ პოპკინსის ცენტრის ინფექციურ დაავადებათა სპეციალისტი **ამეშ ადალია.**

წლეულს კლინიკური გამოცდების პირველი შედეგების მიღებას იმედოვნებენ ამერიკის ინფექციურ დაავადებათა და ალერგიის ეროვნული ინსტიტუტის მეცნიერები. ამის პარალელურად, კლინიკურ ცდებს ასევე ატარებს ისრაელის კომპანია „ბიონდდვექსი“. ექსპერიმენტებში მონაწილეობს 12 ათასი კაცი, ვაქცინა კი ვირუსის სხვადასხვა ნაწილის ცხრა განსხვავებულ ცილას შეიცავს, რომლებიც სხვადასხვა შტამებისთვის საერთოა. ტესტირების შედეგების მიღებას ებრაელი მეცნიერებიც 2020 წლის დაძლევისთვის ელიან.

მოამზადა
ნინო ალექსანდრიამ

კორონავირუსით გარდაცვლილთა რიცხვი 490-მდე გაიზარდა

ამასთან, ჩინეთში დაავადებით ინფიცირებულია 24 324 ადამიანი.

ხელისუფლების ცნობით, ბოლო 24 საათში, ხუბეის პროვინციაში კორონავირუსით კიდევ 65 ადამიანი გარდაიცვალა. ახალი კორონავირუსი ჩინეთის გარდა კიდევ 20-ზე მეტ ქვეყანაში დაფიქსირდა.

◎ პატივი

მანდელას სამშობლოში

სამხრეთ **აფრიკისა და საქართველოს მორაგბეთა ნაკრებების მატჩი 18 ივლისს პორტ ელიზაბეთში, „ნელსონ მანდელა ბეი სთედიუმზე“ ჩატარდება, რომელიც 48 ათას გულშემატკივარს იტევს. აღნიშნული ინფორმაცია სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირმა ოფიციალურად დაადასტურა.**

მოქმედი მსოფლიოს ჩემპიონები მანამდე ორ ტესტ-შეხვედრას კეიპთაუნსა და დურბანში გამართავენ. აღსანიშნავია, რომ 18 ივლისს სამხრეთ აფრიკა ეროვნული გმირის ნელსონ მანდელას დაბადების 102 წლისთავს აღნიშნავს.



შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები სამხრეთ აფრიკას ისტორიაში მეორედ შეებმება. პირველად აღნიშნული გუნდები ერთმანეთს 2003 წლის მსოფლიოს თასზე შეხვდნენ და მაშინ ბრძოლა აფრიკელთა გამარჯვებით 46:19 დასრულდა.

კობა კობახიძე

◎ ჩოგბურთი



ისრაელს ვძლიეთ

ფინეთის დედაქალაქში ფედერაციის თასის გათამაშებაში ევროაფრიკული ზონის მე-2 ჯგუფის რვა გუნდი შეიკრიბა. ისინი წილისყრით ორ ჯგუფში გადანაწილდნენ. A ჯგუფში საქართველოს ნაკრებმა პირველ წრეში ისრაელის გუნდს აჯობა — 2:1. ეკატერინე გორგოძემ ლინა გლუშკო 2 საათში დაამარცხა — 6:3, 4:6, 6:4, ხოლო მარიამ ბოლქვაძემ ვლადა კატიჩს მოუგო — 7:6, 6:1. წყვილებში უმოტივაციოდ დარჩენილი ოქსანა კალაშნიკოვა და ზოზია ქარდავა ლინა გლუშკოსა და შავით კიმჩისთან დამარცხდნენ — 6:4, 5:7, 3:6. ამავე ჯგუფში ტუნისმა მოლდოვა დაჯაბნა — 3:0. B ჯგუფში: დანია — ფინეთი 2:1, პორტუგალია — ეგვიპტე 0:2.

ჯგუფების პირველ-მეორეადგილოსნები ზედა ეშელონის ორი საგზურისთვის იბრძოლებენ, ხოლო მესამე-მეოთხეზე გასულნი ზონაში დასარჩენად იბრძოლებენ.

გივი გაგუა

◎ წყალბურთი

ზედიზედ მეოთხედ

ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპით გამოწვეული შესვენების შემდეგ განახლდა კონტინენტის წყალბურთელ ვაჟთა ჩემპიონთა ლიგის გათამაშება, რომელშიც თბილისის „დინამოც“ მონაწილეობს. პირველი წრის ბოლო შეხვედრა ჩვენებმა შარშან დეკემბერში იტალიის „პრო რეკოსთან“ სტუმრად 9:24 წააგეს. ამჯერად „თეთრ-ლურჯებმა“ „ოლიმპიკის“ აუზში უმასპინძლეს აპენინელებს.

დინამო — პრო რეკო 3:13 (0:3, 2:6, 1:3, 0:1)

დინამო: რაზმაძე, ქავთარაძე, შუშიაშვილი, იმნაიშვილი, ბითაძე, ელაჩა, ჯახაია, მესხი (1), რურუა (კ, 1), მაგრაქველიძე, ბარალდი, ვაპენსკი (1), შუბლაძე.

პრო რეკო: მასარო, დი ფულვიო (2), მანდიჩი (3), ლუნგო (1), დი სომა (2), ველოტო, რენზუტო (2), ეჩენიკვე (1), ივოვიჩი, დობადი (1), ბასლი, კაიესი (1) პრიანი.

„პრო რეკო“ ძველი სამყაროს უძლიერესი გუნდია და ჩემპიონთა ლიგის ფავორიტი, ამიტომ ყველა შეხვედრაში ნებისმიერ მეტოქესთან მოსაგებად არის მოტივირებული. ასე იყო თბილისშიც. მატჩის წინ პრესკონფერენციაზე სტუმართა ერთმა მოთამაშემ გულწრფელად აღიარა, რომ თბილისში სამი ქულის წასაღებად ჩამოვიდნენ. **„გვინდა ვაჩვენოთ, რომ ჩვენ ძლიერები ვართ და გავიმარჯვებთ“,** — დასძინა მან. მართლაც, პაექრობის მესამე წუთიდან უპირატესობას იტალიელები ფლობდნენ. განსაკუთრებით ეს შესამჩნევი იყო მე-2 რვაწუთიან მონაკვეთში, როცა მასპინძელთა კარში ექვსი ბურთი შეაგდეს, საბოლოოდ კი 13:3 გაიმარჯვეს.

თბილისის „დინამო“ ჩემპიონთა ლიგაში მომდევნო მატჩს 21 თებერვალს გერმანიაში ჰანოვერის „ვასპო 98-თან“ გამართავს.

ლექსო ცინცაძე



◎ კალათბურთი



იანვრის რჩეულნი

ნაციონალური **საკალათბურთო ასოციაციის იანვრის საუკეთესო მოთამაშეებად დასავლეთ კონფერენციაში „ლეიკერსის“ ლიდერი ლებრონ ჯეიმსი, ხოლო აღმოსავლეთში „მილუოკის“ ფორვარდი იანის ანტეტოკუნმპო აღიარეს. აღნიშნულ ინფორმაციას ნბა-ს ოფიციალური ვებ-გვერდი ავრცელებს.**

გასულ თვეში „მილუოკიმ“ 13-დან 11 შეხვედრა მოიგო, იანისი კი საშუალოდ ერთ შეხვედრაში 29.2 ქულას, 13.4 მოხსნასა და 5.7 პასს აგროვებდა. „ლეიკერსმა“ 15-დან 10 მატჩი თავის სასარგებლოდ დაასრულა, ხოლო ლებრონ ჯეიმსი საშუალოდ ერთ მატჩში 25.4 ქულას, 8.1 მოხსნასა და 10.4 პასს უყრიდა თავს.

ვიტალი ჯაფარიძე

საფეხბურთო მოზაიკა

„დორტმუნდის“ ახალწვეულმა ერლინგ ჰოლანდმა უნიკალური რეკორდი დაამაყარა. მან გერმანიის თასზე „ვერდერთან“ 2:3 წაგებულ შეხვედრაში ერთი გოლი გაიტანა, იქამდე კი ნორვეგიელის ანგარიშზე სამ შეხვედრაში შვიდი ბურთი იყო. ჰოლანდი ერთადერთი ფეხბურთელია, ვინც ბუნდესლიგის კლუბში გადავიდა და პირველ ოთხ შეხვედრაში რვა გოლი გაიტანა. აღნიშნულ ინფორმაციას Opta ავრცელებს.

სკანდინავიელმა რვაჯერ დაარტყა და ყველა ზუსტად. ის საშუალოდ ყოველ 20 წუთში „დორტმუნდის“ მაისურით ერთ ბურთს იტანს.

პოლ პოგბა აზრს არ იცვლის და „მანჩესტერ იუნაიტედის“ დატოვება აქვს გადაწყვეტილი. Manchester Evening News-ის **ინფორმაციით, ფრანგმა ნახევარმცველმა თანაგუნდელებს უკვე აცნობა, რომ ზაფხულში კარიერას სხვაგან გააგრძელებს.**

პოგბას ყველაზე აქტიურად მადრიდის „რეალსა“ და ტურინის „იუვენტუსს“ უკავშირებენ. გასულ ზაფხულში მისი სატრანსფერო ღირებულება 180 მილიონ გირვანქა სტერლინგს შეადგენდა.

პოლს „წითელ ეშმაკუნებთან“ კონტრაქტი 2021 წლის ზაფხულში ეწურება, მაგრამ ინგლისელებს აქვთ ცალმხრივი შესაძლებლობა, რომ ხელშეკრულება ერთი წლით გაახანგრძლივონ.

მიმდინარე სეზონი 26 წლის ფეხბურთელის კარიერაში ყველაზე წარუმატებელია, რადგან მხოლოდ რვაჯერ ითამაშა და გოლი არ გაუტანია.

მადრიდის „ატლეტიკო“ ბოლო ხანს ხომ საშინელ ფორმაშია და ახლა საკადრო პრობლემებიც მოეძალა. დიეგო სიმეონეს გუნდს მარჯვენა მცველი კირან ტრიპიერი გამოაკლდა, რომელსაც ოპერაცია ჩაუტარდა და რამდენიმე კვირა იუქმებს.

რეაბილიტაციის ზუსტი დრო უცნობია, მაგრამ ადვილი მისახვედრია, რომ 18 თებერვალს „ლივერპულთან“ ჩემპიონთა ლიგის პირველი მერვედფინალური მატჩი გაუცდება.

ინგლისელის გარდა, „ატლეტიკოს“ ალვარო მორატაც დაუშავდა, რომელიც ასევე რამდენიმე კვირა „დაისვენებს“ და ბრიტანულ გრანდთან მოედანზე ვერც ესპანელი გავა.

„როხიბლანკოსთვის“ კი ეს დიდი დანაკლისია, რადგან დიეგო სიმეონეს გუნდი წელს ძალიან ცუდად თამაშობს და თანაც ისეთი მეტოქე ჰყავს, ბევრი რომ არ ისურვებდა.

გიორგი ზოთაძე

◎ ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲘ

ᲨᲔᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲒᲨᲕᲔᲜᲓᲔᲑᲝᲓᲐ...

ᲬᲚᲔᲣᲚᲡ „დიდოსტატის მარჯვენის“ გადაღებიდან ნახევარი საუკუნე აღინიშნება. ფრიად სამწუხაროა, რომ საიუბილეო თარიღამდე მცირედი დააკლდა ვახტანგ ტაბლიაშვილის უკვდავი კინოშედევრის მშვენებას ᲚᲐᲚᲘ ᲑᲐᲓᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲡ.

უკვე ის ფაქტი, რომ ქართული მწერლობის კლასიკოსმა კონსტანტინე გამსახურდიამ საკუთარი ისტორიულ-პროზაული ქმნილების ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის როლის შესრულება ფრანგული ენის სრულიად ახალგაზრდა სპეციალისტს ანდო, თვალსაჩინოდ მიუთითებდა, რომ მის სახებაში ერისთავის ისეთი ნებიერა ასული შორენა კოლონკელიძე განჭვრიტა, საქართველოს დედოფლობა რომ დამშვენდებოდა. აღარაფერს ვამბობ გენიალური თენგიზ არჩვაძისა და ოთარ მეღვინეთუხუცესის ღირსეულ პარტნიორობაზე, რითაც გვირგვინოსნის მარადიული ჯილა დაიდგა.

საუკუნეთა სიღრმეში დანთებულ სიყვარულის ცეცხლს, თითქოს ბედისწერა იყო, ქალბატონმა ლალიმ ბატონ თემო ბადურაშვილთან შექმნილი სამაგალითო ოჯახით უერთგულა და სამშობლოს საამაყო შთამომავლობით ემშვიდობება.

ᲝᲗᲐᲠ ᲛᲔᲦᲕᲘᲜᲔᲗᲣᲮᲣᲪᲔᲡᲘ, ᲚᲐᲚᲘ ᲑᲐᲓᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲐᲠᲩᲕᲐᲫᲔ, ᲓᲘᲓᲝᲡᲢᲐᲢᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ, 1968 Წ.

თბილისის საპატიო მოქალაქე, აქტიური საზოგადოებრივი პოზიციით გამორჩეული ძვირფასი თანამედროვე — ასეთად გვემახსოვრება სანაქებო მანდილოსან წინაპართა ღირსეული მემკვიდრე.

მხოლოდ ოსტატს ვერ ეწევა სიკვდილი...

ᲒᲘᲐ ᲞᲚᲐᲢᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲘ

ტარიელ და მირზა დოლიძეები თანაუგრძნობენ მწუხარებაში მზია ხალვაშისა და ლევან თურმანიძის ოჯახს ძმისა და ცოლისძმის

ᲖᲐᲖᲐ ᲮᲐᲚᲕᲐᲨᲘᲡ

გარდაცვალების გამო.

ტარიელ და მირზა დოლიძეები თანაუგრძნობენ მწუხარებაში სულხან და გვანცა თურმანიძეებს ბიძის

ᲖᲐᲖᲐ ᲮᲐᲚᲕᲐᲨᲘᲡ

გარდაცვალების გამო.

ᲢᲠᲐᲒᲔᲓᲘᲐ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲖᲔ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲐᲠᲔ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘᲓᲐᲜ, ᲡᲐᲤᲐᲡᲐᲓᲔ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲝᲠᲘ ᲛᲣᲨᲐ ᲒᲐᲓᲐᲕᲐᲠᲓᲐ, ᲛᲐᲗᲒᲐᲜ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐᲘᲚᲣᲞᲐ. ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ ᲜᲐᲫᲐᲚᲐᲓᲔᲕᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ ᲛᲝᲮᲓᲐ.

როგორც imedinews-ს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრში განუცხადეს, დაშავებული მუშა პირველ სამედიცინო ცენტრშია გადაყვანილი.

შსს-ის ცნობით, გამოძიება დაწყებულია სამშენებლო სამუშაოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევის მუხლით, რაც 6 თვიდან 2 წლამდე პატიმრობით ისჯება.

ᲓᲐᲐᲙᲐᲕᲔᲡ ᲛᲝᲞᲔᲓᲘᲡ ᲥᲣᲠᲓᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1976 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ბ.გ. ქურდობის ბრალდებით ცხელ კვალზე დააკავეს.

ჩადენილი დანაშაული 3-დან 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ბრალდებულმა თბილისში, თამარ მეფის გამზირზე გაჩერებული, მოქალაქის კუთვნილი მოპედი მოიპარა და მიიმალა. სამართალდამცველებმა ბრალდებული მომხდარიდან მალევე დააკავეს, მოპარული მოპედი კი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

◎ ᲔᲚᲐᲛᲘ ᲡᲐᲠᲙᲔ

ᲒᲔᲠᲝᲜᲢᲘ ᲨᲔᲨᲤᲝᲗᲔᲑᲣᲚᲘᲐ!

ᲛᲗᲔᲚᲘ ერთი კვირა შეუძლოდ ვიყავი და პარკში სასეირნოდ აღარ გავსულვარ. ჩემმა ძმაკაცმა გერონტი შალამბერიძემ, ეტყობა იფიქრა, ჩინურ ვირუსს ხომ არ გადაეყარაო და სახლში დაფეთებული მოვარდა.

— კარგად თუ იყავი, — მისაყვედურა, — სახლში რას იმალებოდი?

— ახლა უკვე გამოვსწორდი, — ვეუბნები, — მაგრამ შენ რა ფერი გადევს, შეშინებული ხომ არ ხარ?

— შეშინებული კი არა, ჩემო ძმაო, შეშფოთებული ვარ.

— კარგი ერთი, შენც ამერიკელი კონგრესმენი ხომ არ ხარ, რამ შეგაშფოთა?

— აი, სწორედ, მაგათი შეშფოთების გამო ვარ შეშფოთებული.

— ისინი საქართველოში დემოკრატიულობის სანდოობამ შეაშფოთა, მაგრამ შენ რაღამ?

— მე კიდევ მაგათმა „ტროლებითა“ და „ბოტებით“ გატეხილმა წერილებმა შემაშფოთა.

— გაჩუმდი ერთი, თუ ძმა ხარ, რეებს ბოდიალობ? — შევფიქრიანდი.

— რატომ უნდა გავჩუმდე? — გაიქაჩა გერონტი.

— მასე აგდებულად რომ ლაპარაკობ, ხომ არ გავიწყდება, ამერიკელები ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები რომ არიან?

— პარტნიორები კი არა, მე თუ მკითხავ, ეგენი უფრო სტრატეგიული ხაზეინები არიან.

— ვთქვათ, არიან. მაგრამ, ხომ უყურებ, მაგ ხაზეინებს ჩვენი ხაზეინები რა კუდის ქიცინით ელაპარაკებიან?

— ეგენი თანამდებობას უფრთხილდებიან და იმიტომ ექლესებიან. მე ერთი საწყალი პენსიონერი ვარ და რა მაქვს მაგათთან საქიცინო?

— შენ არაფერი, მაგრამ ქვეყანას ხომ უნდა გაუფრთხილდე?

— რომ ვუფრთხილდები, მაგიტომ ვლაპარაკობ სიმართლეს.

— ამერიკელი კონგრესმენები რა, ვითომ მატყუარები არიან?

— აბა რა, სიმართლის მთქმელი „ფრონტერას“ მცველად როგორ დაუდგება?

— შენ რა იცი, „ფრონტერა“ რისი გამკეთებელია?

— გაზეთებიდან ვიცი, განა თქვენი გაზეთიც არ წერდა, „ფრონტერამ“ ტყუილებით გაგვბერაო?

— ეს კონგრესმენი მაგის ლობისტი ყოფილა და იმიტომ იცავს.

— ჰო, ლობისტმა ფული უნდა აკეთოს და ჩვენ პირში ჩალაგამოვლებულები დაგვტოვოს, არა?

— რას იზამ, იქაური კანონი მათ ამის უფლებას აძლევს.



— და იმის უფლებასაც, იქაურმა კონგრესმენებმა გვიკარნახონ, საქართველოში არჩევნები როგორი სისტემით უნდა ჩავატაროთ?

— ეგ უკვე ჩვენი საშინაო საქმეა. სუვერენული ქვეყანა ვართ და კონსტიტუცია უფლებას გვაძლევს, არჩევნები იმ სისტემით ჩავატაროთ, რომელსაც ხალხი აირჩევს.

— აბა, რატომ გვაძალებენ ამერიკელი კონგრესმენები, არჩევნები პროპორციული სისტემით ჩაატარეთ, თორემ დემოკრატიულობის იმიჯი დაგეკარგებათო?

— ალბათ, ჩვენთვის კარგი უნდათ და იმიტომ, პროპორციული არჩევნები მართლაც ყველაზე დემოკრატიულია.

— ეგ როგორ, დავიჯერო, ჩვენთვის კარგი უნდათ და თავიანთვის ცუდი, ერთთავად მაჟორიტარულ არჩევნებს რომ არიან მიჯაჭვულნი? იმათთან მაჟორიტარული არჩევნები დემოკრატიულია და ჩვენთან — ანტიდემოკრატიული?

— მაგაზე პასუხი მართლაც გამიჭირდება.

— მე არ გამიჭირდება. ვიცი, ეგენი აქაური წუპაკი ნაცებისგან არიან გაბერილი და ამიტომ ლაპარაკობენ მასე არეულ-დარეულად. ერთთავად მთავრობის ჩამოგდებაზე არიან დაგეშილნი და იმიტომ აქეზებენ ხალხს — ბიძინა ივანიშვილი ქოსატყუილა ოლიგარქია, პროპორციულ არჩევნებს კი შეგპირდათ, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა და გადაგაგდოთო.

— შენ როგორ ფიქრობ, არ გადააგდო?

— აბა, ვინ გადააგდო? მე არ გადავუგდივარ, შენ არ გადაუგდიხარ, საერთოდ, გადაგდებული ვერავინ ვნახე და საიდან მოჭორეს?

— იქნებ თავად ნაცები გადაგდო, მაგრამ არ იციან. რომ გაიგონ, ნეტავი რას იზამენ?

ᲛᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲓᲐ, ᲒᲔᲠᲝᲜᲢᲘ ᲐᲛᲐᲖᲔ ᲠᲐᲡ ᲛᲘᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲕᲘᲜ ᲒᲕᲐᲪᲐᲚᲐ. ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲝᲠᲨᲘ ᲔᲠᲗᲑᲐᲨᲐᲓ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲒᲜᲘᲐᲡᲘ ᲐᲢᲧᲓᲐ (ᲑᲝᲙᲣᲩᲐᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲬᲘᲕᲘᲚ-ᲙᲘᲕᲘᲚᲘᲗ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲦᲐᲪ ᲝᲪᲜᲔᲑᲔᲚᲡ ᲗᲕᲐᲚᲨᲘ ᲗᲘᲗᲘᲗᲔᲑᲡᲐ ᲡᲗᲮᲠᲘᲓᲜᲔᲜ). ᲔᲢᲧᲝᲑᲐ, ᲩᲔᲛᲡ ᲫᲛᲐᲙᲐᲪᲡ ᲨᲔᲨᲤᲝᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲒᲛᲐ ᲢᲐᲚᲦᲐᲛ ᲣᲑᲘᲫᲒᲐ ᲓᲐ ᲝᲗᲐᲮᲘᲓᲐᲜ ᲜᲐᲤᲝᲢᲘᲕᲘᲗ ᲛᲝᲘᲡᲠᲝᲚᲐ.

ᲝᲢᲘᲐ ᲩᲐᲠᲗᲝᲚᲐᲜᲘ

◎ წიგნი

წინაპართა მემკვიდრეობის საგუშაგოზე

საქართველოს უძველესი მეტალურგიის კერა – აჭარა მეტად საყურადღებო გლობალური მნიშვნელობის ზოგადსაკაცობრიო ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის თემაა.

ამ მიმართულებით ფასდაუდებელია შრომა არცთუ უცნობი მეცნიერის, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, 9 წიგნის და 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორის, ბათუმის მკვიდრის ნიაზ ბოლქვაძის ღვაწლი. მისი უშუალო მონაწილეობით ჩაქვში განხორციელდა იმ მიწა-წყლის მოკვლევა, სადაც, სავარაუდოდ, უძველესი მეტალურგიული კერა (3100 წლის წინანდელი) – რკინის გამომდნობი ქურა-სახელოსნოების ნაშთებს ვარაუდობდნენ. საბედნიეროდ, მან სხვა თანამოაზრეებთან ერთად შეძლო, გადაერჩინა იმისგან, ვისაც უკვე ჰყავდა შეყვანილი სოფლის მეურნეობის ტექნიკა.



ძეგლთა დაცვის კომიტეტმა აღნიშნულ ადგილას 2019 წლის 21 ნოემბერს ძეგლის სტატუსი მიანიჭა! ჩაქვის ამ მოკვლეულ ადგილზე, ღია ცის ქვეშ გაშენდება მუზეუმი, რაც საჩინოს გახდის უძველეს კოლხებს, როგორც მსოფლიოში პირველი რკინის აღმომჩენებს და მწარმოებლებს.

ნ. ბოლქვაძის წიგნის წარდგენა **„წინაპართა მემკვიდრეობის გადასარჩენად“** შედგება საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის სააქტო დარბაზში 15 თებერვალს, 15 საათზე.

თამაზ შენგელია

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
ა. ჩიქოვანის (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოზულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001
ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ახალ ზელანდიაში წყალდიდობის გამო მოქალაქეებისა და ტურისტების ევაკუაცია გახდა საჭირო. ყველაზე რთული ვითარება სოუთლენდის რეგიონშია, სადაც საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადეს. ათასობით აბონენტს ელექტროენერგია არ მიეწოდება.

მაშველებმა სტიქიური უბედურების ზონიდან 500-ზე მეტი ტურისტი გამოიყვანეს.

საგანგებო სიტუაციების სამსახურის ცნობით, უხვი ნალექის შედეგად ადიდებულ მდინარეებში წყლის დონის დაკლებას კიდევ რამდენიმე დღე დასჭირდება, რის შემდეგაც მოსახლეობას სახლებში დაბრუნების საშუალებას მისცემენ.

ბანკირი სასადილოში სენდვიჩებს იპარავდა

ბრიტანელი ბანკირი და მილიონერი სამსახურის სასადილოდან სენდვიჩების მოპარვის გამო გაათავისუფლეს.

საუბარია საინვესტიციო ბანკ „სითიგრუპის“ თანამშრომელ პარას შახზე, რომელიც ევროპაში, ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკაში მაღალშემოსავლიანი ობლიგაციებით ვაჭრობის დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა. გასულ წელს მან ანაზღაურების სახით ნახევარ მილიონ გირვანქა სტერლინგზე მეტი მიიღო.

როგორც აღმოჩნდა 31 წლის ბანკირი და მილიონერი მიირთმევდა სენდვიჩებს კომპანია „კანარი ვარფის“ სასადილოში და საფასურს არ იხდიდა.

აღსანიშნავია, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც მსხვილი ფინანსური კომპანიის თანამშრომელი არკეთილსინდისიერების ბრალდებით გაათავისუფლეს. 2014 წელს „ბლექროქის“ უფროსს ფინანსური მომსახურების სფეროში მუშაობა აუკრძალეს, რადგან ის რეგულარულად არ ყიდულობდა მატარებლის ბილეთს.

ადანაშაულებენ ქმრის პირველი მეუღლის მკვლელობაში

ლესოთოს პრემიერ-მინისტრის ცოლს მაესაია თაბანეს პრემიერის ყოფილი ცოლის ლიპოლელო თაბანეს მკვლელობაში ადანაშაულებენ.

ლიპოლელო თაბანე 2017 წელს დედაქალაქ მასერუში, თავისი სახლის მახლობლად მოკლეს. წყვილს მაშინ განქორწინების პროცესი ჰქონდა დაწყებული.

10 იანვარს მაესაია თაბანე გაუჩინარდა, რის შემდეგაც პოლიციამ მისი დაკავების ორდერი გასცა. ის დღეს სამხრეთ აფრიკის საზღვართან დააკავეს. გამოძიების კითხვებს ლესოთოს პრემიერი თომას თაბანეც უპასუხებს.

„დიდებული საუკუნიდან“ - ციხეში

სერიალ „დიდებული საუკუნის“ მსახიობს ადნან კოჩს 16 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

38 წლის მსახიობი პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევაში, მძევლების აყვანაში, ჯანმრთელობის განზრახ დაზიანებასა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შენახვაში დამნაშავედ ცნეს.

კოჩი და კიდევ ხუთი ეჭვმიტანილი 2018 წლის მარტში დააკავეს. მათ პოლიციას წინააღმდეგობა გაუწიეს და 6 პოლიციელი დაჭრეს, შემდეგ კი რამდენიმე სამართალდამცველი მძევლად აიყვანეს. გარდა ამისა, მსახიობი ნარკოტიკების მოხმარების დამადასტურებელი მტკიცებულებების განადგურებას ცდილობდა.

სერიალში „დიდებული საუკუნე“ ადნან კოჩი ბეჰრამ-ფაშას როლს ასრულებს.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა შაბათს, 8 თებერვალს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.8603; ევრო - 3.1618;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.7201;
100 რუბლი - 4.5155; თურქული ლირა - 0.4787;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6841;
1000 სომხური დრამი - 5.9789.

ამინდი 6 თებერვლისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-1,	დღე	+19
მთიანი რაიონები -	ღამე	-3,	დღე	+15
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+9,	დღე	+21
მთიანი რაიონები -	ღამე	+1,	დღე	+16
თბილისი:	ღამე	+3,	დღე	+16

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge